ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 16 – 17 ნოემბერი, 2019 | №272 (8226) | ფასი: 60 თეთრი

## „კალაძეს ერთი სული აქვს, როდის გააღწევს „ოცნებიდან“

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ „ოცნებას“ გონზე მოსვლა არ უნდა აცადოს“



გვ.3

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილმა ყველა წითელი ხაზი გადალახა, მათ შორის, კაცური ღირსებისაც“



გვ.3

„დილით მოელაპარაკები ივანიშვილს, საღამოს „გადაგაგდებს“. საღამოს მოელაპარაკები, დილით „გადაგაგდებს“

## ოპოზიცია ოქრუაშვილისა და სხვა პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ერთხმად ითხოვს!



გვ.2

პაატა დავითაია: „ეს მოთხოვნა აქციაზეც გაჟღერდება“

## „მთავრობა გადადგეს და ვადამდელი არჩევნები გერმანული მოდელით ჩატარდეს!“



გვ.2

რას ითხოვს ოპოზიცია

## „ოცნებამ“ ნინო ბურჯანაძე და ნაციონალები ერთ მაგიდასთან დასვა“



გვ.4

გიორგი ახვლედიანი: „ხელისუფლებამ არაადეკვატურობის კასკადი გვაჩვენა“

## „პირობის შეუსრულებლობა ძალიან მტკივნეულია“



გვ.3

რატომ დატოვა ზაზა ხუციშვილმა უმრავლესობა

## ბესელია: „პროპორციული არჩევნების კანონპროექტი ჩავარდნილი არ არის“



გვ.2

„ის მეორე მოსმენითაც უნდა გავიდეს სესიაზე“

## დავით ლორთქიფანიძე: „კანონპროექტის ჩაგდებამ ჩვენი იმიჯი დააზიანა“





გვ.4

ISSN 1987-9385

2 ზვიად ძიძიგურმა, ნინო გოგუაძემ და გიგა ბუკიამ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეს

5 ზურა დათუნაშვილს გეგა გეგეშიძესთან პრეტენზია აღარ აქვს

5 ნოდარ ცეცხლაძის მკვლელობისთვის ბექა კვიციანს ბრალი წაუყენეს „მან ხელი არ მოაწერა ბრალდებას“

6 ისრაელმა ღაზის მიმართულებით თავდასხმები განაახლა

# ოპოზიცია ოქრუაშვილისა და სხვა პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ერთხმად ითხოვს!

## პაატა დავითაია: „ეს მოთხოვნა აქციაზეც გაჟღერდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **პაატა დავითაია** პასუხობს.

***— ბატონო პაატა, როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას და ამ ფონზე რამდენად ადეკვატურად იქცევა ხელისუფლება? პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვერაფერი შეიცვლება და 2020 წლის არჩევნები ჩატარდება შერეული სისტემით. ამ დროს საზოგადოებაში რამხელა პროტესტია. რუსთაველი გადაკეტილია. რა გეგმები აქვს ოპოზიციას?***

— იცით, რომ მთლიანად ყველა ოპოზიციური პარტიის საკონსულტაციო სათათბირო შეიქმნა. მე დამევალა კოორდინაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით. შეთანხმება მიღწეულ იქნა, რომ ჩვენთვის პრიორიტეტი არის ვადამდელი პროპორციული არჩევნები. მეორე საკითხია, რომ აქციას ვატარებთ კვირას, 17 ნოემბერს, სამ საათზე. ახალგაზრდები თავისთავად აწარმოებენ პროტესტს და მოქმედებენ ამ კუთხით. ჩვენი აქცია 17-ში სამ საათზე იქნება. აგრეთვე რამდენიმე ვარიანტი შემუშავებულ იქნა, ამბობენ, რომ მოხდეს ინიცირება თავიდან და ამის შესაძლებლობები არსებობს.

***— ბატონო პაატა, როდესაც საზოგადოებამ მოისმინა ოპოზიციის გადაწყვეტილება და თქვენი გეგმები, საზოგადოების ერთ ნაწილში სერიოზული უკმაყოფილება გაჩნდა. 2012 წელს, როდესაც ივანიშვილი მოდიოდა, პოლიტიკოსები პირველ საკითხად აყენებდნენ პოლიტპატიმრების გათავისუფლების საკითხს. დღესაც ჰყავს***



***„ოცნებას“ პოლიტპატიმრები, იგივე ირაკლი ოქრუაშვილი და 20-21 ივნისის დანარჩენი მონაწილეები. ეს საკითხი რატომ არ დადგა დღის წესრიგში?***

— არ დაგეთანხმებით. ეგ საკითხი დადგა და პირადად პაატა დავითაიამ დააყენა საკითხი სხდომაზე. სწორედ დღეს იყო ერთ-ერთი მთავარი თემა.

***— ეს საკითხი არ გამოუტანიათ გარეთ, საზოგადოებას არ მიაწოდეს ეს ინფორმაცია.***

— არც ერთი საკითხი, რაც ჩვენ ვთქვით განცხადების ფორმით, არ იყო ხელმოწერილი. ეს იყო კომენტარების სახით. ყველა დაგიდასტურებთ, რომ სხდომაზე პირადად მე დავაყენე ბატონი ირაკლის საკითხი. არა მარტო ოქრუაშვილის, არამედ იმ ადამიანების, რომლებიც 20-21 ივნისის დროს დააკავეს.

***— ეს პროცესები, რაც დღეს დაიწყო, გაგრძელებაა 20-21 ივნისის, როდესაც დააკავეს ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც მსხვერპლია ამ ყველაფრის.***

— რა თქმა უნდა. ამიტომ ეს საკითხი ღიად დადგება. 17-ში ნახავთ თქვენ, რომ აქციაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი ესეც იქნება.

***— რა კუთხით გააჟღერებთ, ულტიმატუმს წაუყენებთ ხელისუფლებას?***

— ეს ყველაფერი მსჯელობის საკითხია. კიდევ ვიკრიბებით საკონსულტაციო რეჟიმში და ყველაფერი იქ დალაგდება. ამ პროცესების პარალელურად მიდის ეს ყველაფერი. თქვენ ხომ გაქვთ წარმოდგენილი, რამდენ პარტიასთან მიწევს მე პირადად კონსულტაცია და შეთანხმება. ამ პარტიებიდან ზოგი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდა, ზოგი ერთ მაგიდასთან არ ჯდებოდა. ესენი დღეს ყველა ერთად სხდებიან, ერთად საუბრობენ, მაგრამ ასე მარტივად არ არის საკითხი. ამიტომ პირადად მეც ძალიან ფრთხილად ვუდგები ნებისმიერი თემის წამოწევას, ხოლო რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ეგ საკითხი საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშაც კი არ დგას.

***— ანუ პოლიტპატიმრების საკითხი დადგება დღის წესრიგში?***

— რა თქმა უნდა. ეს საკითხი ღიად გაჟღერდება აქციაზე.

***— ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს და ოპოზიციასაც კონსტრუქციული ნაბიჯებისკენ მოუწოდებენ. ამ ფონზე რის იმედი გაქვთ?***

— ეს არის პროცესი. ზოგიერთი ამბობს, რომ რა აუცილებელია ქუჩა? რა თქმა უნდა, ქუჩა აუცილებელია, მაგრამ მარტო ქუჩა არ არის. ეს არის ჩვენს პარტნიორებთან ურთიერთობა, იმავე საარჩევნო კოდექსზე დიალოგი. მარტო პროპორციული სისტემა ხომ არ არის, მთელი პროცესია, მთლიანად საარჩევნო კოდექსია მაგ თემაზე მიბმული. ბევრი საკითხია, რომლებიც ერთად კომპლექსში უნდა იქნას განხილული. საზოგადოებრივი რეაქცია ძალიან ნეგატიურია ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ ამ ნეგატიური რეაქციის აკუმულირებაა აუცილებელი. მარტო ნეგატივი რის მომტანია. საზოგადოებაზეა ძალიან ბევრი რამე დამოკიდებული. ეს არ არის დამოკიდებული მარტო ოპოზიციურ პარტიებსა და მათ მოქმედებებზე. საზოგადოება უნდა იყოს აქტიური და ძალა დაანახოს ხელისუფლებას. სხვანაირად რამის მოგვარება რთულად წარმომიდგენია.

***— განაცხადეთ, რომ თქვენ იყავით ინიციატორი პოლიტპატიმრების საკითხის წამოწევის. წინააღმდეგობა ხომ არ ყოფილა?***

— არა, არანაირი. ყველამ ერთხმად გაიზიარა ეს საკითხი. რადგან დოკუმენტური ფორმა არ მიეცა ამ ყველაფერს, შეიძლება, ამიტომ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ვიღაცას რაღაცა გამორჩა. ასე არ არის, ჩვენ ამ საკითხზე ღიად ვსაუბრობთ. ირაკლი ოქრუაშვილი არის პოლიტპატიმარი. სწორედ მე ვიყავი, ვინც თავდებში უდგებოდა ირაკლი ოქრუაშვილს და, პირიქით, ჩემთვის პრიორიტეტია ეს საკითხი.

# „მთავრობა გადადგეს და ვადამდელი არჩევნები გერმანული მოდელით ჩატარდეს!“

## რას ითხოვს ოპოზიცია

ქვეყანაში შექმნილი კრიზისიდან გამოსავალს ოპოზიცია გერმანული საარჩევნო მოდელის დანერგვაში ხედავს.

ამის შესახებ 15 ნოემბერს დილით დავით უსუფაშვილმა ისაუბრა.

— პოლიტიკური პარტია პარლამენტში იღებს იმდენ მანდატს, რამდენი ხმაც მიიღო პროპორციულად, ანუ პროპორციულობის პრინციპი გერმანულ მოდელში დაცულია.

მეორე, მაჟორიტარული არჩევნებიც იმართება და კონკრეტულ ოლქებში მაჟორიტარ კანდიდატებს აქვთ შესაძლებლობა, რომ შეებრძოლონ ერთმანეთს და გაიმარჯვონ.

ანუ პროპორციულობის მოთხოვნა, რომელსაც მთელი საქართველო ითხოვს, გარდა „ქართული ოცნებისა“, გერმანულ მოდელში დაცულია და რის გამოც ეს პროექტი ჩააგდეს მაჟორიტარებმა თუ ივანიშვილმა, ესეც დაცულია, ანუ ყოველი ოლქის ამომრჩეველს ჰყავს თავისი კონკრეტული წარმომადგენელი, — განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ საარჩევნო მოდელის დეტალებზეც ისაუბრა.

— პარტია წარადგენს 73 კანდიდატს მაჟორიტარულ ოლქებში, ამ კანდიდატებისთვის მიცემული ხმა არის პარტიისთვის მიცემული ხმა, მაჟორიტარი, ვინც თავის ოლქში გაიმარჯვებს, შედის პარლამენტში, სხვა მაჟორიტარების ხმები, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, აკუმულირდება პარტიის ყულაბაში.

საერთო შედეგებით მიხედვით თუ მიიღო 15%, მაგრამ მაჟორიტარული მანდატები საერთო რაოდენობის მხოლოდ 5%-ია, მაშინ ეს 10% მანდატების შევსება პარტიული სიიდან მოხდება. ანუ პარტიის კანდიდატები, ვინც მაჟორიტარები ვერ გახდნენ, მიღებულ ხმებს პარტიის ყულაბაში აგროვებენ, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, ეს მოდელი აკმაყოფილებს როგორც პროპორციულის, ასევე მაჟორიტარული მოდელის მომხრეების მოთხოვნებს.



15 ნოემბერს საღამოს გერმანული მოდელის შემოღება ოპოზიციის საერთო მოთხოვნად იქცა.

— მთავრობა უნდა გადადგეს, ცესკო უნდა შეიცვალოს და ვადამდელი არჩევნები უნდა იყოს სწორედ გერმანული მოდელით.

ეს განცხადება გიორგი ვაშაძემ ოპოზიციური პარტიების შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

— გერმანული მოდელი არის პროპორციულ-მაჟორიტარული მოდელის ნაირსახეობა, რომელიც მისაღებია ანუ კონკრეტული გზა არსებობს. მთავრობა უნდა გადადგეს, ცესკო უნდა შეიცვალოს და ვადამდელი არჩევნები უნდა იყოს სწორედ გერმანული მოდელით.

მექანიზმი ნაპოვნია და ყველაფერი უნდა მივიყვანოთ გამარჯვებამდე. ძალიან დიდი დისკომფორტი ექნება „ქართულ ოცნებას“, ეს არის აღელვებული დიპლომატიური კორპუსი, ეს არის აღელვებული ქართველი ხალხი და უზარმაზარი პრობლემები, რომელსაც ჩვენ მათ შევუქმნით. ამ გამარჯვებას მათ არ დავუთმობთ, — დასძინა გიორგი ვაშაძემ.

კახა კუკავას თქმით კი, გერმანული სისტემა არ მოითხოვს კონსტიტუციურ შესწორებას.

— იმისთვის, რომ დამტკიცდეს ეს შესწორება საარჩევნო კოდექსში, „ქართულ ოცნებას“ სჭირდება უკვე არა 117, არამედ 30 დეპუტატი, — განაცხადა კახა კუკავამ.

# ბესელია: „პროპორციული არჩევნების კანონპროექტი ჩავარდნილი არ არის“

## „ის მეორე მოსმენითაც უნდა გავიდეს სესიაზე“

დამოუკიდებელი დეპუტატის ეკა ბესელიას მტკიცებით, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის თაობაზე კანონპროექტის სესიაზე გატანა შესაძლებელია იმის მიუხედავად, რომ მან 113 დეპუტატის ხმა ვერ მიიღო.

დეპუტატის განმარტებით, თუკი კონსტიტუციური კანონის პროექტს მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, იგი მეორე მოსმენაზეც გადის.

ამასთან, ბესელიას განცხადებით, პარლამენტის რეგლამენტი, სადაც წერია, რომ კონსტიტუციური ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა 113 ხმა, წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან. ბესელია ხელისუფლებას რეგლამენტის გასწორებას სთავაზობს.

— კონსტიტუციური კანონპროექტი პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის თაობაზე მეორე მოსმენით ყველა შემთხვევაში უნდა გამოვიდეს სესიაზე. ეს არის გარდაუვალი პროცესი, რომელსაც არავითარი წინაპირობა არ აქვს.

14 ნოემბრის კენჭისყრის შედეგებით არ მთავრდება და მეორე მოსმენით ეს კანონპროექტი მაინც გამოვა იმიტომ, რომ კვორუმი ჰქონდა მას 101 და კონსტიტუციის ჩანაწერი ითვალისწინებს, რომ თუ არის 100 ან 100-ზე მეტი ხმა, მაგრამ არა 113, ასეთ შემთხვევაში, კანონპროექტი მიღებუ-



ლია და ის გრძელდება მეორე და მესამე მოსმენისთვის.

კონსტიტუციაში არ წერია ის, რაც რეგლამენტში წერია. კონსტიტუცია უფრო მაღალია იერარქიულად, ვიდრე ნებისმიერი სხვა კანონი. თუ რეგლამენტი გასწორდება და გაკეთდება ჩანაწერი, რომ მიუხედავად 113 ხმის მიუღებლობისა, მეორე და მესამე მოსმენის დროს 113 ხმით შეიძლება იყოს მიღებული კანონპროექტი, ის მაინც ითვლება მიღებულად. ანუ შესაძლებლობა არის სამართლებრივი, თუმცა ამას პოლიტიკური ნება სჭირდება, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

საქართველოს კონსტიტუცია კონსტიტუციის გადასინჯვის ორ გზას ითვალისწინებს. ერთ შემთხვევაში კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი (113 ხმა) და იგი გადაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად. მეორე შემთხვევაში კი კონსტიტუციური კანონის მიღება შესაძლებელია 2/3-იანი კვორუმით (სულ ცოტა 100 ხმა), თუმცა მისი ამოქმედება შეუძლებელია მომდევნო მოწვევის პარლამენტის მხარდაჭერის გარეშე. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში ვკითხულობთ, რომ:

„კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა მომდევნო მოწვევის პარლამენტის მიერ ერთი მოსმენით განხილვიდან და სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ მისი უცვლელად დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში,“ — წერია კონსტიტუციაში.

# ზვიად ძიძიგურმა, ნინო გოგუაძემ და გიგა ბუკიამ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეს

კონსერვატორმა დეპუტატებმა ზვიად ძიძიგურმა, ნინო გოგუაძემ და გიგა ბუკიამ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეს.

შესაბამისი განცხადება პარტიის ოფისში 15 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.

— მე, ზვიად ძიძიგურმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, უმრავლესობის წევრმა მივიღე გადაწყვეტილება უმრავლესობის და თანამდებობის დატოვების შესახებ. ჩვენ რამდენიმე თვის განმავლობაში ვარწმუნებდით საზოგადოებას, ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს, რომ ჩვენ საკონსტიტუციო ცვლილებას განვახორციელებდით.

იმათ გასაგონად მინდა ვთქვა, ვინც შეიძლება თქვას, რომ ჩვენ გუნდი მივატოვეთ მაშინ, როცა გუნდს ვჭირდებოდით. ჩვენ, კონსერვატორებს, არც ერთხელ არ გვიღალატია გუნდური თამაშის პრინციპისთვის, — განაცხადა ძიძიგურმა.

ფრაქცია კონსერვატორების წევრები ზვიად ძიძიგურის, გიგა ბუკიას და ნინო გოგუაძის გარდა, მუხრან ვახტანგაძე, რუსლან გაჯიევი და პაატა კვიჟინაძე არიან.

დეპუტატი რუსლან გაჯიევი საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას არ აპირებს. ამის შესახებ მან ინტერპრესნიუსს განუცხადა.

— მე „ქართული ოცნების“ წევრი ვარ, ვიყავი და ვიქნები აუცილებლად, დღემდე არც ერთ პარტიაში არ ვიყავი. ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორებში“ ვარ, მაგრამ მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი ვარ, — განაცხადა გაჯიევმა.

14 ნოემბრის პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობა და პოლიტიკური თანამდებობები დატოვა 9 დეპუტატმა: თამარ ჩუგოშვილმა, დიმიტრი ცქიტიშვილმა, გიორგი მოსიძემ, სოფიო ქაცარავამ, თამარ ხულორდავამ, ირინა ფრუიძემ, ზაზა ხუციშვილმა, გიორგი ბეგაძემ, თამარ ჯაშმა.

# შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ნინო ცაციაშვილი დაინიშნა



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ნინო ცაციაშვილი დაინიშნა. ნინო ცაციაშვილი ამ დრომდე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა.

ის პროფესიით სამართალმცოდნეა. 2017-2019 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

2014-2017 წლებში საქმიანობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს პროკურორად.

2009-2014 წლებში მუშაობდა პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფში პროკურორის პოზიციაზე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**სარეკლამო სამსახური** – 294-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძეს ერთი სული აქვს, როდის გააღწევს „ოცნებიდან“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ „ოცნებას“ გონზე მოსვლა არ უნდა აცადოს“

ნონა ცაბაძე

„ქართულ ოცნებას“ დეპუტატები აქტიურად ტოვებენ. გუშინ უმრავლესობა ზვიად ძიძიგურმა და მისმა თანაგუნდელებმაც დატოვეს. რა ხდება მმართველ გუნდში, ეს არის ბიძინა ივანიშვილის გეგმის ნაწილი თუ გემი იძირება და ვირთხები გარბიან? რა გეგმები აქვს ოპოზიციას და როგორ განვითარდება პროცესები? — „ახალი თაობა“ ამ საკითხების გარკვევას ექსპერტ **თორნიკე შარაშენიძესთან** ერთად შეეცადა.

***— ბატონო თორნიკე, უკვე 15-მა დეპუტატმა დატოვა უმრავლესობის რიგები. რა ხდება, კარგად დადგმული სპექტაკლია თუ გემიდან ვირთხები გარბიან?***

— ნამდვილად არ ვიცი, შიგნით რა მოხდა, მაგრამ, მე მგონია, რომ ივანიშვილმა რატომღაც კარგად არ მოინდომა იმ დეპუტატების დარწმუნება, რომლებმაც ეს გააპროტესტეს. ყველანი ვთანხმდებით და ცხადია, რომ მაჟორიტარებს ეს ცვლილება არ აწყობდათ. მათ ეს გააპროტესტეს, ივანიშვილმა რატომღაც მათი გადარწმუნება არ მოინდომა. როგორც ჩანს, იფიქრა, რომ გადაგორდებოდა ეს საკითხი.

***— ეს ყველაფერი არ არის წინასწარ გათვლი და დაგეგმილი და მოულოდნელად მიმდინარეობს ეს პროცესები?***

— სანახევროდ გათვლილია. როდესაც ვილაცებმა გააპროტესტეს, ის მაინცდამაინც არ შეეწინააღმდეგა.

***— რატომ, იფიქრა, რომ მისი ნების წინააღმდეგ ვერავინ წავიდოდა?***

— მან იფიქრა, რომ ამ კრიზისს გადააგორებდა. ივანიშვილს შეეძლო მათი გადარწმუნება, მაგრამ არ მოინდომა და ეს გამოიყენა სათავისოდ. ამას მოჰყვა ის, რომ აშკარად შეშინდა მის გვერდით მდგომი ჯერ კიდევ სალად მოაზროვნე „ოცნების“ დეპუტატი და წავიდა პარტიიდან. მათ დაინახეს, რომ ამ კაცმა დაკარგა რეალობის შეგრძნება. აქამდე კიდევ იყო რაღაცის იმედი.

***— ანუ ეს არ არის მიზანმიმართული პროცესი და მისი თანხმობით არ იშლება უმრავლესობა?***

— ძალიან სახიფათო ზღვრამდე მივიდა უკვე ეს სიტუაცია. რა გარანტიაა, რომ ამას გააჩერებს. მსგავსი გარანტია არ არსებობს. სახეზე ვუყურებდი „ოცნების“ ზოგიერთ დეპუტატს და მივხვდი, რომ ძალიან ცუდად არის შიგნით საქმე. ივანიშვილმა მოინდომა, რომ ეს სიტუაცია გამოეყენებინა სათავისოდ, ამ პროცესის უკან თვითონ იდგა, მაგრამ სიტუაცია ხელიდან გაექცა. სისტემა, რომელიც არის მანკიერი, აფეთქდა შიგნიდან საბოლოოდ.

***— ივანიშვილის სურვილითა და მისი თანხმობით არ ჩავარდნილა ეს კანონპროექტი?***

— ამ კანონის ჩაგდებაში ის დიდ საფრთხეს ვერ ხედავდა. ამიტომაც მიუშვა სიტუაცია, ჩააგდებინა კანონპროექტი, მაგრამ, მერე რაც მოხდა, ამას არ ელოდებოდა, მათ შორის არ ელოდებოდა ალბათ არც ოპოზიციის გაერთიანებას. იმიტომაც იყო, კობახიძე შეშლილივით რომ ყვიროდა, ნაცები ხართ ყველანიო. ახლა ცდილობენ, რომ ეს კარტი გაათამაშონ, შეარცხვინონ ყველა პარტია, ვინც გაერთიანდება და დადგება რუსთაველზე, რომ თქვენ ნაცები ხართ. ეს აღარ მუშაობს. ირმა ინაშვილისთვის ნაცის დაძახება სრული მარაზმია!

***— გაგრძელდება დეპუტატების მხრიდან უმრავლესობის დატოვება?***

— ვნახოთ, ეს ორი-სამი დღე იქნება გადამწყვეტი. ახალი კვირიდან ყველაფერი გარკვეული იქნება. ოპოზიცია შეეცდება, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ეს პროტესტი, რომელიც აგორდა, არ უნდა მინელდეს, ხოლო თუ „ოცნება“ ამასობაში დაიშალა, საქმეც ბოლომდე მივა.

სიტუაციის გაწელვა აწყობს მთავრობას. თუ პროტესტი გაიწელა კიდევ კვირები, ამასობაში სიცივე მოდის და ამ სიტუაციას გადააგორებს მთავრობა. ასე რომ, თუ ოპოზიციას ეყოფა ამის პოლიტიკური გამოცდილება, ჭკუა და გონიერება, ეს საქმე გამოვა.

ჩვენ ვნახეთ, ზაფხულში რა შეცდომა იქნა დაშვებული. პირველი შეცდომა იყო ის, რომ სამოქალაქო აქტივისტებმა გამოაცხადეს, პოლიტიკოსები არ სჭირდებოდათ და თვითონ წარუძღვებოდნენ მიტინგს, ამან კი რეალურად არაფერი მოიტანა. აქციის მონაწილეებს არ ეყოთ პოლიტიკური ცოდნა და გამოცდილება და, საბოლოო ჯამში, მთავრობამ გადააგორა ეს კრიზისი და მეორეც, მთავრობამ დაპირება გასცა და არ შეასრულა, ანუ ყველაფერი ახლაა ბოლომდე მისაყვანი!

***— ოპოზიცია გაერთიანდა. შეინარჩუნებენ ამ ერთობას? ისინი მოითხოვენ ვადამდელ არჩევნებს, ოღონდ პროპორციული წესით, კონსტიტუციონალისტები კი ამბობენ, რომ ეს შეუძლებელია. ჩიხში ხომ არ შევა ოპოზიცია?***

— მართალი გითხრათ არ ვიცი, შეუძლებელია თუ შესაძლებელი, მე კონსტიტუციონალისტი არ ვარ, მაგრამ ოპოზიციას შეუძლია, გამოსავალი იპოვოს. თუ „ოცნება“ დაიშალა მარტივ მამრავლებად, მათ შეუძლიათ, პარლამენტში შეკრიბონ ყველანაირი უმრავლესობა და ნებისმიერი ცვლილება გაიტანონ.

***— რამდენად მომგებიანი იქნება ახლა ვადამდელი არჩევნები?***

— სწორედ რომ ახლა მომგებიანია, იმიტომ, რომ შოკშია ხელისუფლება.



> **„ადამიანმა, რომელიც ატყუებს მოსახლეობასა და საკუთარ გუნდს, ქვეყანა როგორ უნდა მართოს?!“**

***— მაშინ ოპოზიციის გამჭრიახობაზეა ყველაფერი დამოკიდებული?***

— კი, მასზეა ყველაფერი დამოკიდებული. ხელისუფლებას თუ იმედი აქვს, რომ ვადამდელს მოიგებს მაჟორიტარების ხარჯზე და დარჩება კიდევ ოთხი წელი, ეს აბსურდია, გამორიცხულია. ამ მთავრობას არ აქვს ლეგიტიმაცია, 4 კი არა, 1 წელიც რომ დარჩეს.

ყველაფერი ოპოზიციის გამჭრიახობაზეა, გონზე მოსვლა არ უნდა აცადოს „ოცნებას“. „ოცნებას“ იმის იმედი აქვს, რომ ოპოზიცია სუსტია. ვნახოთ, რა იქნება.

***— ოპოზიციამ თუ ერთიანობა შეინარჩუნა, ძლიერ ძალად იქცევა?***

— ოპოზიციაში არის რამდენიმე ძლიერი, გამოცდილი პოლიტიკოსი. მათ შეუძლიათ, ააწყონ სტრატეგია, რომელიც მოაგებინებთ. მართალია, ისეთი ძლიერი ფიგურები, როგორიც იყო სააკაშვილი 2003 წელს, ახლა არ ჰყავთ, მაგრამ გამოცდილი ადამიანები ნამდვილად არიან, ისეთებიც, ვისაც ურთიერთობების დალაგება კარგად გამოსდის დასავლეთთან.

***— დასავლეთი უკვე ჩაერთო პროცესებში, შეხვედრები მიმდინარეობს ივანიშვილთან. მიიღებს ის საყვედურს ამ კანონპროექტის ჩაგდებისთვის?***

— იმედია, რომ დასავლეთს საქართველოს მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს და, თუ ასეა, რა თქმა უნდა, უსაყვედურებენ, ბუნებრივია.

ის, რაც ივანიშვილმა გააკეთა, არ გაუკეთებია არც ერთ მმართველს საქართველოში. მსგავსი მოტყუება არ უკადრებია არავის.

***— რა მოხდა, გათვალეს და მიხვდნენ, რომ პროპორციულით ვერანაირად ვერ იგებდნენ?***

— შეიძლება, იყო შანსი მოგების, მაგრამ რისკი იყო საკმაოდ დიდი და ამას მიხვდნენ. „ოცნების“ რეიტინგი იმდენად დაბალია, რომ მისი შანსი იყო ერთადერთი, ნეიტრალური ამომრჩეველი დაეტოვებინა სახლში. თუ ნეიტრალური ამომრჩევლის ნახევარი მაინც მივა არჩევნებზე, აუცილებლად წააგებენ.

ამის ფონზე სრულიად ბუნებრივია ის, რაც „ოცნებაში“ ხდება. ნორმალური პოლიტიკოსი არ დარჩათ გუნდში. ნორმალურმა ადამიანმა როგორ უნდა მისცეს ხმა პარტიას, რომლის სახეებიც არიან მდინარაძე და კობახიძე. აღარ გავაგრძელებ ჩამოთვლას.

***— ვინც დარჩათ შედარებით ცნობადი და მომგებიანი სახეები, ისინიც ხომ არ წავლენ, მაგალითად, კალაძე?***

— კალაძეს ერთი სული აქვს, როდის გააღწევს „ოცნებიდან“, დარწმუნებული ვარ, გასწრებაზეა, მაგრამ ჯერ ფრთხილობს, ეშინია, დიდი ეჭვი მაქვს, მასზე არსებობს კომპრომატები.

***— დარჩა რამე გასათამაშებელი ივანიშვილს, რომ შემოაბრუნოს სიტუაცია?***

— პრობლემა სწორედ ის არის, რომ ასეთი ტყუილის შემდეგ რთული იქნება სიტუაციის შემობრუნება. ადამიანმა, რომელიც ატყუებს მოსახლეობასა და საკუთარ გუნდს, ქვეყანა როგორ უნდა მართოს?!

უმრავლესობის დეპუტატებმა იგრძნეს ხიფათი, რომ გემი იძირება და გარბიან!

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილმა ყველა წითელი ხაზი გადალახა, მათ შორის, კაცური ღირსებისაც“

## „დილით მოელაპარაკები ივანიშვილს, საღამოს „გადაგაგდებს“. საღამოს მოელაპარაკები, დილით „გადაგაგდებს“

იაგო ნაცვლიშვილი



მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციური პარტიები „გადააგდეს“ და ხალხი მოატყუეს, სრული ოპოზიციური სპექტრი ქუჩაში გავიდა და აქციები დაიწყო. შესაბამისად, ქვეყანა პოლიტიკური კრიზისის ზღვარზეა. საპარლამენტო უმრავლესობას კი დეპუტატები ტოვებენ. ამ დროისთვის 15 დეპუტატი უკვე გავიდა უმრავლესობიდან.

პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ, რა გამოხმაურება მოჰყვება დასავლეთის მხრიდან და რაში მდგომარეობს გამოსავალი? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***— ვხედავთ იმ რეალობას, რა კრიზისიც შექმნა ბიძინა ივანიშვილმა. პირადად თქვენ პროცესები როგორ განვითარებას ხედავთ, მაშინ, როდესაც პრაქტიკულად მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთად დგას, არის თუ არა იმის შანსი, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობა დასრულდეს?***

— მე ამ კატეგორიებით მსჯელობას არ დავიწყებდი დღეს. იმიტომ, რომ დღეს ჩვენ აბსოლუტურად აფექტის მდგომარეობაში ვართ. მე პირადად გამოსავლის გზას ვერ ვხედავ, ან როგორ შეიძლება დაინახო... როგორ შეიძლება რაღაც მოლაპარაკებებზე თუ კონსენსუსზე ისაუბრო, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა მიცემულ სიტყვას ფასი დაუკარგა. რა აზრი აქვს მოლაპარაკებას, როდესაც შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადაგაგდოს. მოგელაპარაკოს, საჯაროდ განაცხადოს და არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. მაგალითად, გაეროს ტრიბუნიდანაც კი ილაპარაკეს ამაზე და ამის შემდეგ „გადაგაგდოს“.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „პირობის შეუსრულებლობა ძალიან მტკივნეულია“

## რატომ დატოვა ზაზა ხუციშვილმა უმრავლესობა

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ზაზა ხუციშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავისი გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბრობს.

***— ბატონო ზაზა, თქვენ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეთ. პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების ჩავარდნა მოულოდნელი იყო?***

— აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. ამ კანონპროექტთან დაკავშირებით საერთოდ კითხვის ნიშანი თუ იქნებოდა, სამშაბათის სხდომაზე გავიგე, როდესაც პირველად გადაიდო კენჭისყრა. რა გითხრათ, ძალიან გაკვირვებული ვარ. ჩემთვის პირობის შეუსრულებლობა ძალიან მტკივნეული თემაა.

***— რა მოხდა, როგორ ფიქრობთ?***

— ვერაფერს გეტყვით, რეალური ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა, მთავარი სხვა რაღაცაა, როდესაც ჩვენ გუნდური გადაწყვეტილება მივიღეთ, მაგალითად, დიმიტრი ხუნდაძე მაშინაც წინააღმდეგი იყო, მაგრამ მაშინ გუნდურ გადაწყვეტილებას დაემორჩილა.

***— „ქართული ოცნება“ კონსერვატორებმაც დატოვეს. პროცესი კიდევ გაგრძელდება?***

— როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილებები პირველ-მეორე დღეს მიიღება ხოლმე, მერე უკვე არა მგონია. ორი დღე საკმარისი იყო ამ გადაწყვეტილების მისაღებად, ამიტომ, არა მგონია, კიდევ გაგრძელდეს.

***— „ოცნება“ საპარლამენტო უმრავლესობას ინარჩუნებს, თუმცა საუბარია პოლიტიკურ კრიზისზე ხელისუფლების წიაღში. შეიძლება ბიუჯეტი ჩავარდეს და ეს გახდეს ვადამდელი არჩევნების საფუძველი. როგორი განწყობაა, ბიუჯეტს მხარს დაუჭერენ?***



— მე ჩემს პრინციპს ყველა შემთხვევაში შევინარჩუნებ. რადგან ბიუჯეტს მხარს ვუჭერდი, აუცილებლად დავუჭერ. თუ თვითონ არ დაუჭერენ და ბიუჯეტის პროექტსაც ჩააგდებენ, როგორც საკონსტიტუციო ცვლილება ჩააგდეს, ამაზე ვერაფერს გეტყვით. მაშინ დღის წესრიგში მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი უნდა დადგეს. თვითონ საპარლამენტო ცხოვრებაში ამის რეალური მოტივაცია ნამდვილად არ არსებობს. ამიტომ, რა მოხდება, არ ვიცი.

***— მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა დატოვეთ, ბიუჯეტს მხარს დაუჭერთ?***

— დიახ, დავუჭერ. რადგან უკვე უმრავლესობიდან გავედი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რასაც ოპოზიცია აკეთებს, ის გავაკეთო. მე ჩემი პრინციპები მაქვს. მე თავის დროზე ვთქვი, რომ ბიუჯეტს მხარს დავუჭერდი. თუ არ დავუჭერ, მაშინ მეც იგივე გამოვდივარ, პირობის დამრღვევი.

***— პარტია „ქართულ ოცნებასაც“ ტოვებთ?***

— პარტიის წევრი არასდროს ვყოფილვარ და, შესაბამისად, ვერც დავტოვებ.

***— ბატონო ზაზა, იმედგაცრუებული ხართ?***

— ბუნებრივია. ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება მივიღეთ, გავაცანით საზოგადოებას და რა მოხდა?! პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა, პრემიერმა გიორგი გახარიამ, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, კანონპროექტის ავტორმა, მოუწოდა, მიგველო კანონპროექტი, მაგრამ რა გამოვიდა — ვინც დანაპირები შევასრულეთ, ისინი უმრავლესობიდან გამოვედით და დანარჩენები ინარჩუნებენ მყარ უმრავლესობას.

***— ჰოდა, ლოგიკა ხომ ასეთია, რომ სწორედ მათ უნდა დაეტოვებინათ უმრავლესობა და არა თქვენ?***

— თავისუფალ კენჭისყრაზე დადგა საკითხი და დაიდო ის შედეგი, რომელიც დაიდო. იქამდე მსგავსი არაფერი მსმენია, რომ კანონპროექტი შეიძლება ვერ გასულიყო. უფრო ლოგიკური ხომ იქნებოდა, კანონპროექტის მოწინააღმდეგეები საყოველთაო განხილვებში ჩართულიყვნენ, ეთქვათ ღიად ხალხისთვის თავიანთი პოზიციის შესახებ და ხალხი გადაერწმუნებინათ, ხომ უფრო მყარი არგუმენტი ექნებოდა.

არ ჩაბმულან ამ განხილვებში, გესმით?! აბა, რისთვის არის ეს განხილვები?!

სიმართლე გითხრათ, მე სულაც არ მჯერა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ხალხის შეკვეთაა. ეს არის პოლიტიკური კონსენსუსი. რეალურად საზოგადოება შერეული მოდელის მომხრეა. შეიძლება, სადღაც მაჟორიტარებზე იმედგაცრუებულია ხალხი, მაგრამ, როდესაც ადამიანები პირადად ხვდებიან დეპუტატებს, ჩემთან დეპუტატის ბიუროში როდესაც მოდიან ადამიანები, შეიძლება, ბევრი პრობლემა ვერც გადაუწყვიტო, მაგრამ, როდესაც მათ ველაპარაკები, თავიანთ პრობლემებს მიზიარებენ, მაინც კმაყოფილი არიან. პირადი კონტაქტი ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ბიძინა ივანიშვილთან გამართულ შეხვედრაზე რას გვეტყვით, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

— მოუწოდა ამ მაჟორიტარებს, უნდა შევასრულოთ ის პირობა, რომელიც დავდეთო, დეპუტატები საგნობრივ განხილვაში შევიდნენ, ამის დრო კი არ იყო, რადგან ბიუროს სხდომა იყო პარლამენტში ჩანიშნული. ასეთი საგნობრივი განხილვა მაშინ უნდა გამართულიყო, როდესაც პირობა დავდეთ და ხელი მოვაწერეთ.

***— შემოთავაზების შემთხვევაში, უმრავლესობაში დაბრუნდებით?***

— არა, არ დავბრუნდები.

***— საუბარია მოლაპარაკებაზე.***

— პირადი ურთიერთობების გაფუჭებას არ ვაპირებ, გარკვეულ საკითხებზე მოლაპარაკებებიც იქნება, მაგრამ იმაზე, რომ უკან დავბრუნდე, არა, გამორიცხულია. მე ჩემი პრინციპები მაქვს.

***— პოლიტიკაში რჩებით?***

— ამ მოვლენების ფონზე ალბათ კიდევ ერთხელ დავფიქრდები. ბევრი ამბობს, რომ პოლიტიკას ხალხი სათავისოდ იყენებს, მე კი ჩემ საწინააღმდეგოდ მივეცი ხმა.

ვნახოთ, პოლიტიკა ძალიან სტრესული საქმეა, ძალიან დიდი დაძაბულობა და დიდი პასუხისმგებლობაა. თუკი შენი ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობა ადამიანურად გაწუხებს, ეს დაძაბულობა და პასუხისმგებლობა ერთიორად იზრდება.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# დავით ლორთქიფანიძე: „კანონპროექტის ჩაგდებამ ჩვენი იმიჯი დააზიანა“

გულიკო ბალაძე

ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი **დავით ლორთქიფანიძე** ესაუბრა.

***– ბატონო დავით, 2020 წლისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ საკონსტიტუციო პროექტის ჩაგდებით „ოცნებამ“ შექმნა კრიზისი. რატომ?***

– სიტუაცია თავიდანვე ნორმალურად ვითარდებოდა. მოეწყო საერთო-სახალხო განხილვები, შეხვედრები. რაც 14 ნოემბერს მოხდა, არ უნდა მომხდარიყო. თუმცა, იმის თქმა, რომ დეპუტატებს თავიანთი აზრი არ ჰქონდეთ, სწორი არ იქნება. დეპუტატების აზრის ცვლილებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა მაჟორიტარების უარყოფით კონტექსტში მოხსენიებამ. ფინიშზე გასული პროცესის წინ, ნაციონალები და მათი განაყოფი პარტიების წარმომადგენლები დეპუტატებს შეურაცხყოფდნენ, მონებს ეძახდნენ. ამან გამოიწვია ის, რაც რეალურად, მოხდა.

***– მაინც გაუგებარია, ბოლო მომენტში რატომ თქვეს უარი?***

– ყველაფერი გარეთ არ გამოდიოდა. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ცოტა ადრე ყოფილიყო ამასთან დაკავშირებით მინიშნებები, რომ ყველა ერთ აზრზე არ იდგა და მაჟორიტარებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ.

***– ისეთი სურათი იხატება, რომ ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი კი არ მართავს, არამედ პარლამენტში მოკალათებული ოქრიაშვილის ოლიგარქატი, ე.წ. მაჟორიტართა ჯგუფი.***

– ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის განცხადებას მინდა დავეყრდნო, სადაც ის თვითონ გამოხატავს გულისტკივილს და არ მინდა, რომის პაპზე დიდი კათოლიკე გამოვიდე. ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მას გული სტკივა, რადგან მისი ინიციატივა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. სამწუხაროდ. როგორც ჩანს, მმართველ პარტიაში დემოკრატიულმა პროცესებმა, შიგნით უფრო მაღალ ხარისხში იჩინა თავი.

***– რა შუაშია აქ დემოკრატიული პროცესი?***

– დემოკრატიული პროცესის ნაწილია ის განცხადება, რომ კენჭისყრა იქნებოდა თავისუფალი.

***– არ გეთანხმებით.***

– თქვენ გაქვთ უფლება, არ დამეთანხმოთ.

***– რაღა ახლა გამოიჩინეს პრინციპულობა მაჟორიტარებმა? აცხადებენ, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა სახელმწიფოსთვის საშიშიაო. ამ დროს აშკარა დესტაბილიზაციის შემქმნელი ვითარება შექმნეს. ეს რომ ასე იქნებოდა, ვინმეს ეჭვი ეპარებოდა?***

– მე არ მეპარებოდა ეჭვი. თუმცა, არ შემიძლია სხვის ნაცვლად ვილაპარაკო. უმჯობესი იქნება, თქვენ ეს ჰკითხოთ მას, ვისაც უშუალოდ ეხება. მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობაც მათ უნდა აიღონ. საზოგადოება იმსახურებს, რომ ამ კითხვებზე პასუხი მათგან ჰქონდეთ.

***– თავისუფალი კენჭისყრა რაღა იყო?***

– როგორც კი გავიგე, თავისუფალი კენჭისყრის გადაწყვეტილება იყო მიღებული, მაშინვე გამიჩნდა მოსაზრება, რომ, დიდი ალბათობით, ის გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული, რისი მოლოდინიც იყო. არ შევმცდარვარ.



***– ბევრს ჰქონდა ბიძინა ივანიშვილის სიტყვის იმედი. როგორ შეფასდება ის ფაქტი, რომ მან სიტყვა მისცა ხალხს და ვერ შეასრულა?***

– საკითხი ორგანზომილებიანია. პირველი, მოსწონს ვინმეს თუ არა, ეს არის დემოკრატიის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მეორე, ეს არ არის კარგი, საზოგადოებაში იმ ჭარბი ნდობის პირობებში, რომელსაც თავად ბიძინა ივანიშვილიც უსვამდა ხაზს და მის მიერ მიცემული სიტყვა შესრულებულიყო. ვინ რომელ მხარეს გადაიხრება, ეს ინდივიდუალურად გადასაწყვეტია.

ძალიან უხერხული სიტუაცია შეიქმნა, რადგან ჭარბი ნდობის პირობებში ეს არ უნდა მომხდარიყო, ან მეორეა, დემოკრატია იმ ხარისხშია, რომ ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

***– გამოდის, ივანიშვილმა პარლამენტის უმრავლესობაში თავისი წონა დაკარგა. აბა, რას ნიშნავს ის, რომ მაჟორიტარები, რომლებმაც „ოცნებას“ ამოფარებულებმა გაიმარჯვეს, ხმას არ აძლევენ პარტიის ლიდერის ინიცირებულ პროექტს? ჩვენც რომ დაგვდგომოდა გვერდით ასეთი პარტია, ჩვენც გავიმარჯვებდით.***

– ამაში ეჭვი არ მეპარება.

***– ანუ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მაჟორიტარებმა მხარი რატომ არ დაუჭირეს – ივანიშვილმა წონა დაკარგა თუ ივანიშვილი არ შეჰპირდა, რომ 2020 წელს მათ პროპორციულ სიაში ჩასვამდა?***

– თქვენს მოსაზრებას, რა თქმა უნდა, არსებობის უფლება აქვს. უბრალოდ, ჩემგან უხერხული იქნება, რაიმე მინიშნება გავაკეთო. მით უფრო, რომ ჩემს კოლეგებთან ამაზე საუბარი არ მქონია.

ფაქტია, რომ მაჟორიტარების დიდმა ნაწილმა გამოხატა თავისი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება, ვიდრე იყო საკანონმდებლო ინიციატივაში დაფიქსირებული. საპარლამენტო ინიციატივაზე ხელმომწერებიც აღმოჩნდნენ დღეს მოწინააღმდეგეთა შორის.

***– რით არის მომხიბვლელი მაჟორიტარობა?***

– როდესაც ადამიანი რამდენიმე მოწვევაში მაჟორიტარია, ნებსით თუ უნებლიეთ, მუნიციპალიტეტსა თუ რაიონში, მას უყალიბდება მხარდამჭერების მყარი ერთობა, რომლებიც ამ მაჟორიტარის დახმარებით შემდეგ ჰპოვებენ თავიანთ ადგილს საჯარო სამსახურში.

***– მით უმეტეს, თუ მმართველი პარტიაც უჭერს მხარს.***

– დიახ, მით უმეტეს, თუ მმართველი პარტიის მაჟორიტარია. ამას მე კნინობით ფორმაში არ ვამბობ.

***– ადრე ასე არ ამბობდით. ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ მე მაჟორიტარული სისტემის სიმახინჯე დამანახეთ, ანუ უჭერს თუ არა ხალხი მხარს, ეს ადამიანები მაჟორიტარული არჩევნების პირობებში მუდმივად ახერხებენ ხმების მიღებას.***

– ამას გეუბნებით. მათ საჯარო სამსახურში მომუშავეებისგან ემატებათ მხარდამჭერები, ამომრჩევლის რაოდენობა წლიდან წლამდე არ მატულობს. შეიძლება მცირდებოდეს კიდევაც. ძალიან ბევრი ადამიანი ტოვებს საქართველოს, ბევრი გარდაიცვალა. ამიტომ ამომრჩევლის რაოდენობა არ იმატებს, იმატებს მაჟორიტარი დეპუტატების მხარდამჭერები.

***– მაგალითად, მკოიანი, რომელიც ჯავახეთის ერთ-ერთ რაიონში მუდმივი დეპუტატია, იქ ბევრ პრობლემას ქმნის, ხალხი უკმაყოფილოა. ვერ გავიგე, რანაირად ემატება მხარდამჭერები?***

– მხარდამჭერები ემატება იმიტომ, რომ ის ეხმარება თავის გუნდელებს, ასაქმებს საჯარო სამსახურში. ასე ემატება მხარდამჭერების რაოდენობა. უკმაყოფილო 10 ადამიანი იქნება თუ 100, როდესაც უკმაყოფილო ადამიანებზე სიუჟეტი კეთდება, ერთი ადამიანიც კი საკმარისია, ამ შემთხვევაში მკოიანზე რომ ალაპარაკონ, თუ ამ ნეგატიურ საქციელს საფუძველი აქვს.

რაღაც დააშავა, ან მისი ოჯახის წევრმა ვიღაცას სცემა ან შეავიწროვა. ეს ეხება ერთ კონკრეტულ ადამიანს. თუ ის წამოვა და მისცემს ინტერვიუს, ეს უკვე საკმარისია ნეგატიური ფონის შესაქმნელად.

***– თუკი სცემა და შეავიწროვა ვინმე, დეპუტატის მხრიდან ეს იმდენად ცუდი საქციელია, რომ ზოგადად, უნდა გავრცელდეს მის პიროვნებაზე.***

– გეთანხმებით. მე ვინმეს კი არ ვიცავ, როდესაც ამა თუ იმ მაჟორიტარზე ნეგატიური ინფორმაცია არსებობს, აუცილებელია ამ ნეგატივის დამტკიცება საგამოძიებო ორგანოებში.

***– როდესაც გავლენიან და ფულიან ადამიანზეა საუბარი, ხომ იცით, რომ სამართალდამცავებიც მათ გავლენაში ექცევიან. იმ უბრალო, საცოდავ ადამიანს ასეთ სიტუაციაში როგორ შეუძლია, რაიმე დაამტკიცოს?***

– მეც მაგას ვლაპარაკობ. ამიტომ ძალოვანი სტრუქტურები პოლიტიკისაგან დისტანცირებული უნდა იყვნენ. მხოლოდ კანონსა და სამართალს უნდა ემსახურებოდნენ, რაც სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არ არის ჩვენს ქვეყანაში.

***– ბატონო დავით, აზრი არ გიჩნდებათ, რომ ის საპარლამენტო ოლიგარქატი, რომელიც არის მაჟორიტარების სახით ოქრიაშვილის ხელმძღვანელობით, პოლიტიკიდან მოსაცილებელია?***

– ვფიქრობ, იმ ადამიანებმა, რომლებმაც წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტში იმუშავეს, მოახერხეს სერიოზული ფინანსური რესურსის დაგროვება და კარგი ბიზნესი აქვთ, ბიზნესსექტორში უნდა გადაინაცვლონ. პარლამენტში კი პატიოსანი ადამიანები უნდა მოვიდნენ.

ეს შეიძლება წაადგეს ქვეყნის განვითარებას. ადამიანი, რომელსაც გამოცდილება აქვს და გამოსაყენებელია, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც პარლამენტში იყოს.

***– იმ კრიზისმა, რომელიც ამ მაჟორიტართა გუნდმა შექმნა ქვეყანაში, მთელი ოპოზიცია გააერთიანა, სხვადასხვა აზრის, მიმართულებისა და ერთმანეთთან დაპირისპირებული ოპოზიციური ჯგუფები ერთი მაგიდის ირგვლივ დასხა და ერთი მიზნით ბრძოლისთვის განაწყო. რას ელოდებით?***

– მოხდება დაძაბულობის ესკალაცია. დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია შეეცდება მუნიციპალიტეტებშიც გამოიწვიონ აქტივობები, მაგრამ ეჭვი მეპარება, ადგილებზე მხარდამჭერების სერიოზული მობილიზება მოახერხონ.

თუმცა, ადგილებიდან მათი მხარდამჭერების თბილისში მობილიზება აბსოლუტურად რეალურად მეჩვენება. ძალიან არ მინდა, პროცესები უმართავ ველზე გადავიდეს, სადაც ლაკმუსის ქაღალდივით არის გაშლილი ის გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტმა მიიღო, როდესაც უარი უთხრა პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ეს ლაკმუსის ქაღალდი გახდება სერიოზული ვნებათაღელვის საფუძველი.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეუვალი პროტესტი არ გამოხატოს. მოსახლეობის განწყობები ადგილებზე ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა პოლიტიკური პარტიებისას. რეგიონებში, მუნიციპალიტეტებში ადამიანებს უნდათ ჰყავდეთ წარმომადგენელი, ვისთანაც კონტაქტი შეეძლება თავისი პრობლემის მოსაგვარებლად.

***– ამ პრობლემის გადაჭრა რეგიონალპროპორციული სიებითაც შესაძლებელია.***

– ეგ, ალბათ, მსჯელობის საგანი იყო. ისე არ მინდა წარმოიდგინოთ, რომ მაჟორიტარული არჩევნები მხოლოდ ნეგატივის შემცველია. განვითარებულ ევროპასა და ამერიკაში არჩევნები მაჟორიტარული წესით ტარდება. ამიტომ მაჟორიტარული არჩევნები ტრაგედია არ არის, მაგრამ ტრაგედიად იქცევა მაშინ, როცა მაჟორიტარად აირჩევა „რაღაცის“ გამო.

***– ფულის გამო. ჩვენთან, სამწუხაროდ, მაჟორიტარული წესით არჩევნებმა მახინჯი ფორმა მიიღო.***

– მახინჯი ფორმა მიიღო იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის იმ კონდიციამდე მისული, პოლიტიკურად ყველა პროცესი კარგად წარვმართოთ.

***– 30 წელი ცოტა არ არის. ამ ხნის განმავლობაში პარლამენტში ერთსა და იმავე სახეებს ვხედავთ და, რეალურად, ბევრიც არაფერი იცვლება ქვეყანაში.***

– ეს არის პრობლემა, ამიტომ ამომრჩეველიც უნდა გაიზარდოს. 30 წელი ერთსა და იმავე კაცს რომ არჩევინებენ თუ ირჩევენ, უნდა დაფიქრდნენ. თუ ის კაცი არ აკეთებს საქმეს, არ უნდა აირჩიონ. პრობლემას მხოლოდ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ნუ ვეძებთ, ჩვენშიც მოვძებნოთ.

***– ეს გადაწყვეტილება რა ასახვას ჰპოვებს მომავალ არჩევნებში „ოცნების“ შანსებზე, როცა დღეს ყველა ყვირის, რომ „ოცნებამ“ და ბიძინამ სიტყვა გატეხეს?***

– ნაჩქარევ დასკვნებს არ გავაკეთებ. პოლიტიკოსისთვის ერთკვირიანი დაკვირვება იქნება საკმარისი მიხვდეს, პროცესები როგორ წარიმართება. თუმცა, არის ალბათობა იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებამ ჩვენი იმიჯი დააზიანოს.

# „ოცნებამ“ ნინო ბურჯანაძე და ნაციონალები ერთ მაგიდასთან დასვა“

მარიამ მჭედლიშვილი

## გიორგი ახვლედიანი: „ხელისუფლებამ არაადეკვატურობის კასკადი გვაჩვენა“

ხელისუფლება არ აპირებს ოპოზიციის ერთობისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესრულებას. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებით, ოპოზიცია უნდა მოემზადოს 2020 წლის არჩევნების შერეული სისტემით ჩატარებისათვის. როგორ აფასებს ხელისუფლების რეაქციას? რეალურია თუ არა მოთხოვნა ვადამდელი პროპორციული არჩევნების თაობაზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ **გიორგი ახვლედიანს.**

***– რას იტყვით ხელისუფლების რეაქციის შესახებ იმაზე, რაც თბილისის ცენტრში და სხვაგან ხდება?***

– ხელისუფლებამ გვაჩვენა არაადეკვატურობის კასკადი. ვგულისხმობ პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომლითაც უარი ითქვა პროპორციულ სისტემაზე და იმ ნაბიჯებსა და განცხადებებს, რომლებიც ამას მოჰყვა.

გავრცელდა ბიძინა ივანიშვილის წერილი, სადაც გვითხრეს, რომ ყველაფერში დამნაშავე ყოფილა ოპოზიცია. თურმე ოპოზიციონერების ბრალი ყოფილა, რომ „ქართული ოცნება“ დანაპირებს ვერ ასრულებს. გვეუბნებიან, რომ რომელიღაც დეპუტატს უმრავლესობიდან არ მოსწონებია ოპოზიციონერი კოლეგის საქციელი და ამიტომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. თურმე ამიტომ მოატყუა „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი ხალხიც და საერთაშორისო თანამეგობრობაც.

***– რუსთაველზე აქციების შეფასებისასაც არაადეკვატური იყო ხელისუფლება?***

– რასაკვირველია, შეფასებებშიც არაადეკვატური იყო და იმაშიც, რომ მთელი ოპოზიცია შეკრა. საქართველოში არსებობს ერთადერთი თემა, რომელსაც შეუძლია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული და ერთმანეთთან შეუთავსებელი პოლიტიკური ძალების ერთმანეთთან დასმა და გაერთიანება. ესაა საარჩევნო საკითხები.

პროპორციულ სისტემას ყველა პარტია უჭერს მხარს. ეს არის ის, რასაც შეუძლია, ერთად დასვას ნინო ბურჯანაძე და ნაციონალური მოძრაობა. „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ოპოზიციის ერთობა შემდგარიყო. ამით მან ძალიან დააზიანა საკუთარი თავი და მას განაჩენი გამოუტანა.

***– იქნებ ამაში რაიმე მზაკვრობა იმალება? თუ მაჟორიტარები ჩართეს სპექტაკლში და გვარწმუნებდნენ, ჩვენ გვინდა პროპორციული სისტემა და ეს ჯგუფია ამის მოწინააღმდეგეო, ამ შემთხვევაშიც ხომ შეიძლება, იყოს დაფარული ჩანაფიქრი?***



– კონსპირაციული შეთქმულებების არ მჯერა. ხელისუფლება უცნაურად იქცევა, მაგრამ, არა მგონია, უნდოდეს, საკუთარ თავს მოუწყოს რევოლუცია. ამ გაუგონარმა არაადეკვატურობამ „ქართული ოცნება“ კატასტროფულად დააზარალა. რაც ხდება, იმაში ბევრი რამ ალოგიკურია და ეს აყენებს დარტყმას თვითონ ხელისუფლებას.

***– რით ხსნით ხელისუფლების ამ საარჩევნო გადაწყვეტილებას?***

– მე ასეთი ვარაუდი მაქვს – „ქართული ოცნება“ მიხვდა, რომ პროპორციული სისტემით 2020 წლის არჩევნებში იმ შედეგს ვერ მიიღებს, როგორიც უნდა. ვიღაცას მოუვიდა თავში, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა შერეული სისტემის დატოვება.

ეს უდიდესი სისულელეა. პროპორციული არჩევნებით „ქართული ოცნება“ მიიღებდა გარკვეულ შედეგს და შეინარჩუნებდა მორალურ უპირატესობას, დარჩებოდა პოლიტიკურ სისტემაში. იმის შემდეგ, რაც პარლამენტის უმრავლესობამ 14 ნოემბერს ჩაიდინა, რომელ მორალურ უპირატესობასა და რომელ გამარჯვებაზეა საუბარი! მმართველმა პარტიამ ისეთ დღეში ჩაიგდო თავი, რომ ვერანაირ შედეგს ვეღარ მიაღწევს. შეიქმნა უმწვავესი სიტუაცია, როცა გუნდა შეიძლება, ზვავად იქცეს.

***– მოვლენები უკვე აზვირთებული ხომ არ არის? თბილისის გარდა, აქციებმა სხვა დიდი ქალაქებიც მოიცვა. აჭარაში, მაგალითად, ავტონომიური მთავრობის გადადგომას მოითხოვენ.***

– პროცესების აზვირთება იმ წუთიდან დაიწყო, როცა კენჭისყრისას პარლამენტის ტაბლოზე 113-ის ნაცვლად 101 დაიწერა. საზოგადოებამ, რომელსაც პროპორციულ არჩევნებს დაჰპირდნენ, შეურაცხყოფილად და მოტყუებულად იგრძნო თავი. შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია, რასაც არ მივესალმები, იმიტომ, რომ ქვეყანაში სტაბილურობა მინდა.

ჩვენ, პოლიტიკოსებს, ნორმალური საარჩევნო გარემო და კონკრეტულად პროპორციული არჩევნები იმისთვის გვინდა, რომ ხელისუფლება იცვლებოდეს არა რევოლუციურად, არამედ, მშვიდად და წყნარად, არჩევნების გზით.

ჩვენ ნორმალური არჩევნები გვინდა, ხელისუფლება კი ქუჩაში გამოსვლას გვაიძულებს. ქვეყნის პირველი მტერი ის არის, ვინც ივანიშვილსა და მაჟორიტარებს ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯის გადადგმა ურჩია.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიცია უნდა მოემზადოს 2020 წლის არჩევნებისათვის, რომელიც შერეული წესით გაიმართება. თქვენ მაინც იმედიანად ხართ განწყობილი?***

– რასაკვირველია. ხელისუფლებას მოუწევს დათმობა. „ქართულ ოცნებას“ ივნისის ბოლომდე დაგეგმილი არ ჰქონდა 2020 წლისთვის პროპორციული არჩევნების შემოთავაზება, თუმცა 21 ივნისის ამბებისა და შემდგომი მოვლენების შემდეგ ამაზე წავიდა. საზოგადოების ზეწოლით პროპორციულ არჩევნებს მივაღწევთ.

***– ვადამდელი არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება რეალურია?***

– ამ სიტუაციაში ოპოზიციონერებმაც გააკეთეს ემოციური განცხადებები. ხელისუფლება რომ გადადგეს, 2 თვეში უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. ამ დროში საკანონმდებლო ცვლილებები ვერ ესწრება.

ძველი სისტემით არჩევნების ჩატარებით დაინტერესებულია ხელისუფლება. ჩვენ ამ ანკესს არ წამოვეგებით. ჩემი აზრით, პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს არა ვადამდელი, არამედ, პროპორციული არჩევნები.

სწორედ ეს ჩააცხრობს მუხტს და არ დაუშვებს პროცესების აზვირთებას ქვეყანაში.

# ნოდარ ცეცხლაძის მკვლელობისთვის ბექა კვიციანს ბრალი წაუყენეს

## „მან ხელი არ მოაწერა ბრალდებას“



თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მეგობრის, ნოდარ ცეცხლაძის, მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ბექა კვიციანს 15 ნოემბერს ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

როგორც პოლიციის სამმართველოს დატოვების შემდეგ ადვოკატმა შოთა მანელიძემ განაცხადა, ბრალის დადგენილებას ხელი ბრალდებულმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოაწერა და დოკუმენტი მან ჩაიბარა.

— არ არის კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს რაიმე დანაშაულის არსებობაზე. მასთან კომუნიკაცია ისევ შეუძლებელი აღმოჩნდა ჩემთვის. მან ხელი არ მოაწერა ბრალდებას და მე ჩავიბარე ფაქტობრივად. ბრალდების მხარის არგუმენტაცია ბუნებრივია, რომ ტენდენციური იქნება, ოპონენტი მხარეა და არაა გასაკვირი, — განაცხადა მანელიძემ.

მისივე თქმით, ექსპერტიზის შუამდგომლობის განხილვის ვადა არის 72 საათი.

— ველოდები შესატყვის და ადეკვატურ პასუხს. ჩემი დაცვის ტაქტიკაც უპირველეს ყოვლისა იმ მდგომარეობას დაეფუძნება, რაც ამ წუთში იკვეთება ჯანმრთელობის კუთხით და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

როგორც ოჯახის წევრებისგან და უახლოესი წრისგანაა ცნობილი, დაკავებულს გარკვეული ფსიქიკური პრობლემები აღენიშნებოდა მანამდეც, — განაცხადა ადვოკატმა.

ბექა კვიციანი 13 ნოემბერს რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ დააკავეს.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# „51-ე სკოლის დირექტორმა თქვა, დავით სარალიძე ძალადობაში შემჩნეული არ ყოფილა“

## მიხეილ კალანდიას პროცესზე მოწმეები დაიკითხნენ

— 51-ე სკოლის მაშინდელმა დირექტორმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გარემოებას, რომ დავით სარალიძე არ ყოფილა შემჩნეული ძალადობასა თუ ბულინგში.



აღნიშნული განცხადება ბრალდებულ მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ზაზა სარალიძის ადვოკატმა ნესტან ლონდარიძემ ჟურნალისტებთან გააკეთა.

მისი თქმით, 15 ნოემბრის პროცესზე დაიკითხნენ სხვა მოწმეებიც, მათ შორის, ისინი, ვისაც გარკვეული შემხებლობა ჰქონდათ საქმესთან.

— დღევანდელ სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ მოწმეები. მათ შორის იყო 51-ე სკოლის მაშინდელი დირექტორი, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ დავით სარალიძე არ ყოფილა შემჩნეული არც ერთ განხორციელებულ ძალადობასა თუ ბულინგში.

მის მიმართ არ ყოფილა გარკვეული დარღვევა შემჩნეული სკოლაში. ასევე, იკითხებოდნენ სხვა მოწმეებიც. მათ შორის, ისინი, რომლებსაც გარკვეული შემხებლობა ჰქონდათ საქმესთან. ყველა მოწმე, ვინც კი დაიკითხა სასამართლო პროცესზე, ადასტურებს, რომ სკოლაში, კერძოდ, საპირფარეშოში განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა არასრულწლოვნების დაპირისპირება, — განაცხადა ნესტან ლონდარიძემ.

მიხეილ კალანდია ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა 2019 წლის 4 ივნისს დააკავეს.

მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ივნისს შეეფარდა.

# ზურა დათუნაშვილს გეგა გეგეშიძესთან პრეტენზია აღარ აქვს

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ თამაზ (გეგა) გეგეშიძესა და ევროპის ორგზის ჩემპიონ ზურაბ დათუნაშვილს შორის მომხდარი კონფლიქტის საქმეში ახალი გარემოებებია.

15 ნოემბრის პროცესზე ადვოკატმა ნოტარიულად დამტკიცებული წერილი წარადგინა, სადაც აღნიშნულია, რომ მხარეები მორიგდნენ და დაზარალებულ ზურაბ დათუნაშვილს გეგა გეგეშიძის მიმართ პრეტენზია არ აქვს.

როგორც გეგეშიძის ადვოკატი ზურა როსტიაშვილი აღნიშნავს, ეს საქმეში მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი გარემოებაა.

— ზურაბ დათუნაშვილს ვინ შეაშინებდა, როგორ ფიქრობთ, ვერავინ ვერ შეაშინებდა. დაფიქრდა, როგორც ჩანს, ბატონი ზურაბი და გადადგა რეალური ნაბიჯი. მორიგდნენ წერილობითაც, ნოტარიულად დაადასტურა, რომ არავითარი პრეტენზია გეგა გეგეშიძის მიმართ არ გააჩნია.

ეს საქმის ვითარებას იმ კუთხით ცვლის, რომ ეს შემამსუბუქებელი გარემოებაა, — განაცხადა გეგეშიძის ადვოკატმა.



საქმის პროკურორი გრიგოლ ნიშნიანიძე ხაზს უსვამს, რომ მხარეებს შორის ნოტარიულად დამოწმებული მორიგება მომხდარ ფაქტს არ ცვლის.

— ეს არ უარყოფს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც მოხდა 2019 წლის 11 იანვარს მის მიმართ თამაზ გეგეშიძის მხრიდან, — განაცხადა პროკურორმა.

საქმე ეხება 11 იანვარს მომხდარ ინციდენტს, როცა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ, ევროპის ორგზის ჩემპიონ ზურაბ დათუნაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდარის გამო გეგეშიძე ძალადობის ბრალდებით დააკავეს და შემდეგ 5.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლეს.

# ყაჩაღობისთვის ვ.მ.-ს 8,5 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-ტარებაში ბრალდებული ვ.მ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 9 თებერვალს, ქ.თბილისში, ქურდობისთვის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-ტარებისთვის ნასამართლევი ვ.მ. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული თავს დაესხა სანზონაში არსებულ ერთ-ერთი მარკეტის მოლარე-ოპერატორებს და სიცოცხლის მოსპობის მუქარით გასტაცა მათ 588 ლარი და 523 ლარის ღირებულების პროდუქცია.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ ვ.მ. შემთხვევის ადგილიდან მიმალვას შეეცადა.

სამართალდამცავებმა ვ.მ. მიმალვის მცდელობისას დააკავეს.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი არაერთგზის) და 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა და ტარება, ჩადენილი არაერთგზის) წარუდგინა. ვ.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ვ.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ჩუბინაშვილზე 129 ნომერ სამარშრუტო ტაქსს მანქანა დაეჯახა

## 3 ადამიანი დაშავდა



თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩის კვეთაზე 129 ნომერი სამარშრუტო ტაქსს მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა 3 ადამიანი, რომლებიც ალადაშვილის კლინიკაში არიან გადაყვანილი.

ექიმების თქმით, 2 დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

# ცხინვალში ქართველ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს




ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. სასამართლომ 9 ნოემბერს გატაცებულ ქართველ ექიმს, ვაჟა გაფრინდაშვილს, ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

მას დე ფაქტო სამართალდამცავი სტრუქტურა ე.წ. საზღვრის კვეთას ედავება. ვაჟა გაფრინდაშვილისთვის ორთვიანი პატიმრობის შეფარდების ფაქტს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც ადასტურებს.

— აღნიშნულთან დაკავშირებით ამოქმედებულია ცხელი ხაზი, ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და მიმდინარეობს მუშაობა მის გასათავისუფლებლად, — აცხადებენ სუსში.

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილმა ყველა წითელი ხაზი გადალახა, მათ შორის, კაცური ღირსებისაც“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სად არის აქ მოლაპარაკებების და კონსენსუსის შესაძლებლობა. სივრცე აღარ დატოვა. ფაქტობრივად სრულად ჩიხში შეიყვანა ყველაფერი. დღეს აბსოლუტურ ჩიხში ვართ, აქედან გამომდინარე, როდესაც რინგზე ხარ, მაშინ შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ასეთ რეალობაში გადაგვისროლა ამ პარანოიდული შიშით, რაც მას აქვს ძალაუფლების დაკარგვასთან დაკავშირებით.

***— ევროკავშირის ელჩი შეხვდა ამ ამბების შემდეგ უმრავლესობის ლიდერებს, ესეც ნიშნავს თუ არა იმას, რომ დასავლეთიც ისევე აღშფოთებულია, როგორც ქართველი საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი?***

— რა თქმა უნდა. ყველას ამაზე ელაპარაკებოდნენ, ამას ვაკეთებთო და არ გააკეთეს. თვითონ გაზარდეს ეს მასშტაბი. მარტო ჩვენ კი არ მოგვატყუეს, მთელი სამყარო მოატყუეს. დიდი ბოდიში, მაგრამ რამდენჯერ შეხვდებოდნენ ევროკავშირის ელჩს და რამდენჯერ ეტყოდნენ, ჩვენ ამას ვაკეთებთ და რა მაგრები ვართო, ბოლოს კი არ გააკეთეს. აი, ეს მოხდა.

ასეთი პრეცედენტი ისტორიაში არც მახსოვს, რომ პოლიტიკურ ძალას ინიციატივა თვითონ წამოეყენებინოს, შემდგომ ამაზე მომხდარიყოს კონსენსუსი და საბოლოოდ თვითონვე „გადაეგდოს“ ყველა და თავისივე ინიციატივაზე თავადვე ეთქვას უარი.

ეს ხომ უკვე ყველანაირ პოლიტიკურ ლოგიკას სცილდება. და არა მხოლოდ პოლიტიკურ ლოგიკას, არამედ ეთიკას და აბსოლუტურად ყველაფერი დარღვეულია.

აბსოლუტურად არაადეკვატური იყო ბიძინა ივანიშვილის წერილი, სადაც გვეუბნება, არჩევნებს დემოკრატიულად ჩავატარებო. მისმა სიტყვამ დაკარგა ფასი, განულდა მისი სიტყვა, როდესაც ყველა გადააგდო და კიდევ ამბობს, რაღაცას გავაკეთებო.

***— ეს რეალობა თვითონ არ ესმის?***

— მე არ ვიცი, რა ესმის თვითონ და რა არა. როგორც ჩანს, ის არის სისტემური შიშით შეპყრობილი და განცდა მრჩება, რომ ყველაფერზე წამსვლელია, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ანუ ეთიკური და ყველანაირი წითელი ხაზი გადახაზა თავისი ქმედებებით და, რაც მთავარია, კიდევ გვატყუებს, რომ თურმე ეს ყოფილა ბერაიას ბუნტი.

„კნოპკების“ ბუნტად გამოაცხადა. იმიტომ, რომ ეს დეპუტატები რეალურად ხომ არ არსებობენ ბუნებაში?! ესენი არიან ღილაკზე თითის დამჭერი ადამიანები და უცებ გაუსკდათ თურმე თავისუფლების ბუშტი. უნდა, რომ ეს „გვაჭამოს“. ასე გამოდის, რომ აბსოლუტურ იდიოტებად გვთვლის.

***— ადეკვატური იყო უმრავლესობის გარკვეული წევრების რეაქცია, რომლებმაც დატოვეს უმრავლესობა?***

— რა თქმა უნდა. იქ ყველა ასეთი ხომ არ არის?! მიუხედავად იმისა, რომ ხედავენ, ათასი რაღაცა ხდება, მაინც მოთმინების ზღვარი აქვთ. ზღვარგადასულის ატანა უკვე შეუძლებელია, ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა ივანიშვილმა, არა მხოლოდ პოლიტიკური ეთიკის, არამედ ადამიანური, კაცური ღირსების, ყველაფერი გადალახა.

***— ამ ვითარებაში პარლამენტის ფუნქციონირება როგორ წარმოგიდგენიათ და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობა, მაშინ, როცა ვინც ამ დელეგაციებს წარმოადგენდნენ, მათგან დიდი ნაწილი წამოვიდა?***

— პარლამენტი ახლა იმ ვითარებაშია, როდესაც ხინკალი და ნარდი უნდა შეიტანო. იმიტომ, რომ იქ ხომ მხოლოდ ისეთი ადამიანები დარჩნენ, რომლებსაც ურთიერთობა არ აქვთ მაინცდამაინც დეპუტატის საქმიანობასთან. სახინკლე, ლუდი, ნარდი — ეს არის მათი საქმე.

**„პარლამენტში ხინკალი და ნარდი უნდა შეიტანო, ისეთი დეპუტატები დარჩნენ „ოცნებაში“**

***— ოპოზიციამ წამოაყენა სამპუნქტიანი გეგმა, თუმცა მათ შორის არ იყო პოლიტპატიმრების გათავისუფლების საკითხი. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

— იგივე პოლიტპატიმრების საკითხი არის დეტალები. მთავარია, რომ თვითონ მექანიზმი თქვან, რა მექანიზმით უნდა იმოქმედონ. ჩვენ ხომ კონსტიტუციის ფარგლებში უნდა დავრჩეთ. ვერ გამოვალთ კონსტიტუციის მექანიზმიდან. კონკრეტული გეგმა მე ვერ დავინახე, რა მექანიზმი მიაჩნიათ ამ გეგმის განსახორციელებლად.

ოპოზიციის აღშფოთება აბსოლუტურად სწორია. ფაქტობრივად ბიძინა ივანიშვილმა საბოლოო ჯამში მართლა მოახერხა ის, რომ მთელი პოლიტიკური ელიტის კონსოლიდაცია მომხდარიყო. მართალია, თავის წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტია, რომ მოახერხა.

გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს. კომპრომისულ გამოსავალს მე ვერ ვხედავ. მით უმეტეს, კომპრომისზე საუბარს აზრიც არ აქვს. იმიტომ, რომ დილით მოელაპარაკები ივანიშვილს, საღამოს „გადაგაგდებს“. საღამოს მოელაპარაკები, დილით „გადაგაგდებს“. ასე რომ, არანაირი აზრი არ აქვს მოლაპარაკებებს.

***— ანუ, ამ ეტაპზე ოპოზიციის ქმედებებშიც ემოციური ფონი ჭარბობს?***

— მათ აქვთ პოლიტიკური დღის წესრიგი. ისინი ემზადებიან და რაღაც მობილიზაციას ცდილობენ და ამ მობილიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე რაღაცებს აცხადებენ, მაგრამ კრიზისიდან გამოსვლისთვის რეალური გეგმა არ ჩანს. მე ამას ვერ ვხედავ.

***— არ ფიქრობთ, რომ მათ პოლიტპატიმრების თემაც უნდა წამოეწიათ?***

— ამას უკვე რა მნიშვნელობა აქვს, რას გააჟღერებენ და რას არა. ჩვენ თუ ვსაუბრობთ მოთხოვნების თემაზე, ეს შეიძლება ასპუნქტიანი იყოს, მაგრამ მთავარი ეს ხომ არ არის?! მთავარია, კრიზისიდან როგორ გამოვდივართ.

***— ის რამდენად თანმიმდევრულია, როდესაც თან ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვენ და თან პროპორციული წესით. პროცედურულად დროში რამდენად მოსწრებადია და რამდენად თავსებადი ეს ორი მოთხოვნა ერთმანეთთან?***

— მე ზუსტად ამას ვამბობ, რომ მექანიზმს ვერ ვხედავ. მოთხოვნა კარგია, ლამაზად ჟღერს, მაგრამ კონსტიტუციური მექანიზმი როგორია? ეს უნდა აგვიხსნან. დავუშვათ, ხელისუფლება დათანხმდა, რაზე უნდა დათანხმდეს?!

ან როგორ უნდა დათანხმდეს? გუშინ ჩააგდეს. ეს არის პოლიტიკური განცხადება, რომლის უკანაც უნდა იყოს ფორმულა, როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს, რასაც ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ არ ჩანს.

***— ხელოვნურად ხომ არ ქმნის კრიზისს ივანიშვილი, რომ ვადამდელი არჩევნებისკენ წავიდეთ?***

— ივანიშვილი ჭადრაკის ფიგურებით თამაშობს, წკიპურტებით თამაშობს. შესაბამისად, მას აქვს ამოცანა, შეინარჩუნოს ძალაუფლება. დღეს ჩათვლის, რომ ეს არის გასაკეთებელი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ხვალ ის და ზეგ და ა. შ. მას არ აქვს რაიმე გეგმა. მას აქვს ამოცანა, რომ ნებისმიერი ხერხით და ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ძალაუფლება.

***— რუსული სცენარი უფრო და უფრო მკაფიოდ ხომ არ ჩანს?***

— ბუნებრივია, ასეთ კრიზისულ ვითარებაში რუსეთი მაქსიმალურად მოითბობს ხელს.

***— მე ვგულისხმობ იმას, რომ რუსეთის კარნახით ხომ არ მოქმედებს ივანიშვილი?***

— მე არ წავიდოდი ასე შორს. იმიტომ, რომ ამას უფრო შეთქმულების თეორიის სახელი ექნება.

***— თუნდაც გავრილოვის განცხადება, როცა ბოდიშის მოხდას ითხოვს, ამაზე ხომ არ მიანიშნებს?***

— ბიძინა ივანიშვილს არ აქვს ფასეულობათა სისტემა. პრორუსი, პროდასავლელი და გარედან შეკვეთა — ასეთი რაღაცები არ აქვს. მას უნდა ძალაუფლება. თუ ძალაუფლებას დასჭირდება რუსეთი, იტყვის და იმოქმედებს ისე, რომ გაუმარჯოს რუსეთს. დასჭირდება სხვა რამე, მაშინ გაუმარჯოს იმ სხვა რამეს.

მე ამ დამოკიდებულებას უფრო ვხედავ, ვიდრე რაღაც მის ფასეულობით ორიენტაციას.

# ტრამპი: „გჯერათ, რომ ძილისგუდა ჯო ბაიდენის დასამარცხებლად უკრაინის დახმარება გვჭირდება?“



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ლუიზიანის შტატში ამომრჩევლის წინაშე წარდგა, სადაც უკრაინის საკითხსა და იმპიჩმენტის პროცედურაზე ვრცლად ისაუბრა.

მისი თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის დასამარცხებლად უკრაინის დახმარება არ სჭირდება.

– თქვენ გჯერათ, რომ ჩვენ გვჭირდება უკრაინის დახმარება, რათა ძილისგუდა ჯო ბაიდენი დავამარცხოთ? მე ასე არ ვფიქრობ. ნიჭი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოცდილება, არა? მე მაშინ გამოცდილება არ მქონდა, გასულ არჩევნებზე ჩვენ ჩამოვშალეთ ბუშის დინასტია, შემდეგ ჩამოვშალეთ კლინტონის დინასტია, შემდეგ ჩამოვშალეთ ობამას ჯგუფი.

თუ გამოცდილების გარეშე დავამარცხეთ ბუში, კლინტონი, ობამა, ახლა ფიქრობთ, უკრაინის დახმარება გვჭირდება, რომ ბაიდენი დავამარცხოთ? მე ასე არ ვფიქრობ, – განაცხადა ტრამპმა.

25 ივლისს დონალდ ტრამპსა და უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის შორის გამართული სატელეფონო საუბარი შედგა, რომლის დროსაც, ამერიკული მედიის ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტი ზელენსკის მისი პოლიტიკური ოპონენტის ჯო ბაიდენისა და მისი შვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას აიძულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უკრაინას სამხედრო დახმარების შეწყვეტით ემუქრებოდა.

# ისრაელმა ღაზის მიმართულებით თავდასხმები განაახლა

ისრაელმა ღაზის სექტორის მიმართულებით თავდასხმა განაახლა. არმიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ისრაელის თავდაცვის ძალებმა ისლამური ჯიჰადის პოზიციებს შეუტიეს.

ექიმების ინფორმაციით, თავდასხმების დროს დაღუპულთა რაოდენობამ 34 ადამიანს მიაღწია. მათი უმეტესობა პალესტინის მშვიდობიანი მოქალაქეა. გარდაცვლილთა შორის 8 ბავშვი და სამი ქალია.

თავის მხრივ, ისრაელი აცხადებს, რომ ღაზის მხრიდან სარაკეტო თავდასხმების შედეგად 63 ადამიანი საავადმყოფოებში მკურნალობს.

ისლამურმა ჯიჰადმა ეგვიპტის შუამდგომლობით ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწია. შეთანხმების თანახმად, პალესტინურმა მხარემ ღაზის სექტორში მშვიდობის შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს, ხოლო ისრაელმა უნდა შეწყვიტოს საომარი მოქმედებები.

სიტუაცია მხარეებს შორის განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ისრაელის თავდაცვის ძალებმა პალესტინელი სამხედრო მეთაური ბაჰა აბუ ალ-ატა მოკლეს.

მოგვიანებით ისლამურმა ჯიჰადმა ისრაელს ომი გამოუცხადა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გარი კასპაროვი: „პუტინის ძალა დასავლეთის სისუსტეშია“



რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ ამჟამინდელი რუსეთი ყოფილი სსრკ-ის ძლევამოსილების ლანდია.

რუსეთის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ 3%-ია. რუსეთი ტექნოლოგიურად ვერ ვითარდება. მისი მოსახლეობა ღატაკდება და ა.შ. ასეთ სიტუაციაში პუტინმა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის იმპერიულობანას თამაში წამოიწყო. სსრკ-ის აღდგენის ძალა რუსეთს არ გააჩნია. სამაგიეროდ, შეუძლია, წაიხულიგნოს, მეზობლებს ტერიტორიები წაართვას.

ასე მოხდა საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის შემთხვევაში. სამწუხაროდ, დასავლეთი ჯერჯერობით ამას ითმენს, რაც პუტინს კიდევ უფრო ათამამებს.

– პუტინს არც ძლიერი არმია, არც ძლიერი ეკონომიკა არ გააჩნია! პუტინის ძალა მხოლოდ დასავლეთის სისუსტეშია, – ამბობს კასპაროვი.

## კალეიდოსკოპი

# განძის მაძიებელმა დაკარგული ბეჭდის ძებნაში განძს მიაგნო



ჩრდილოეთ ირლანდიაში ფერმერის ნაცნობები მის დაკარგულ საქორწინო ბეჭედს ეძებდნენ, როდესაც წააწყდნენ განძს, რომელიც 100 ფუნტ სტერლინგად შეფასდა.

44 წლის მეწარმე პოლ რეინარდი ბრიტანეთის ქალაქ კიტლიდან და მისი საქმიანი პარტნიორი, 52 წლის მაიკლ გვინი, ჩრდილოეთ ირლანდიაში ნაცნობთან სტუმრად იმყოფებოდნენ. ისინი განძის ძიებით იყვნენ დაკავებულნი და თავიანთ მეგობარს დათანხმდნენ, საკუთარი ლითონმაძიებელი მოწყობილობით ქალაქ ბალიკსალის მახლობლად მდებარე მინდორში დაკარგული ბეჭდის მოძებნაში დახმარებოდნენ.

თავდაპირველად მათ ცხენის ნალი და წვრილი მონეტა იპოვეს, მაგრამ საათ-ნახევრის ძებნის შემდეგ პოლის ხელსაწყომ რაღაცას მიაგნო. მან თხრა დაიწყო და მალე ძველ მონეტებს გადააწყდა, რომელთა ღირებულება თავიდანვე აშკარად ჩანდა.

– სიხარულისგან ადგილზე შევხტი და აცრემლებული მაიკლისკენ გავიქეცი, – იხსენებს განძის მაძიებელი, – ბავშვობიდან მინდოდა, რამე ღირებული მეპოვა. ეს საოცარი გრძნობაა, თითქოს ლატარიის ბილეთი შეამოწმე და მიხვდი, რომ ჯეკპოტი მოხსენი.

მიწისქვეშ 84 ცალი XVI საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდის მონეტა იყო დამალული. რეინარდის მტკიცებით, ოლსტერის მუზეუმის ექსპერტებმა, მათ მიერ ნაპოვნ მონეტებს ყველაზე დიდი განძი უწოდეს, რომელიც კი ოდესმე ირლანდიაში აღმოუჩენიათ.

ზოგიერთი მონეტა ათასობით ფუნტი სტერლინგი ღირს. კერძოდ, ერთი მონეტა 1512 წელს, მეფე ჰენრიხ VIII-ის დროინდელი, ხუთი ათას ფუნტ სტერლინგად იქნა შეფასებული. მეორე მონეტა, რომელიც ედუარდ VI-ის მმართველობის დასაწყისს განეკუთვნება, სამი ათას ფუნტამდე ღირს.

სავარაუდოდ, მთელი განძის შეფასებას რამდენიმე თვე დასჭირდება. თუ პოლი და მაიკლი განძის გაყიდვას გადაწყვეტენ, მიღებული თანხის ნახევარს მინდვრის მფლობელი ანუ ის ფერმერი მიიღებს, რომლის დაკარგულ ბეჭედსაც ისინი ეძებდნენ.

# მოშინაურებულმა ირემმა ქალი დაასახიჩრა



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ მერივილში თეთრკუდა ირემი ქალს თავს დაესხა და დააშავა.

თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც ქალი ქალაქში ფოსტის მისაღებად ჩამოვიდა. მისი მტკიცებით, ირემი მას უკნიდან მიეპარა, მიწაზე დააგდო და რქენა დაუწყო. ქალმა მას რქებში ხელი სტაცა, მაგრამ ცხოველმა ის თან გაითრია და შეტევას აგრძელებდა.

ქალს რამდენიმე გამვლელი მიეხმარა. ის საავადმყოფოში სერიოზული დაზიანებებით გადაიყვანეს. შტატის ბუნებრივი რესურსების სააგენტოს თანამშრომლებს ირმის მოკვლა მოუხდათ.

როგორც გაირკვა, ირემს კარგად იცნობდნენ მოქალაქეები. მათ ცხოველს ლუი დაარქვეს, ეთამაშებოდნენ, საკვებს აძლევდნენ, იმისთვის, რომ შეცდომით მონადირეებს არ მოეკლათ, კისერზე ნარინჯისფერი საყელური გაუკეთეს, ხოლო ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისმა პატარა შვილიშვილმა ირემს რქები და ჩლიქებიც კი შეუღება ფრჩხილების ლაქით. ასევე, მისი თქმით, სავარაუდოდ, ქალმა ცხოველის პროვოცირება თავად მოახდინა.

ბუნებრივი რესურსების სააგენტომ მომხდარის გამოძიება დაიწყო. მისი წარმომადგენლის თქმით, ქალზე თავდასხმამდე ირემმა თავისი აგრესიულობა 11 წლის გოგონას მიმართაც გამოავლინა.

# მამაკაცი უფასო სადილისთვის ციხეში ჩაჯდა



ინდოეთის ტამილნადის შტატის ქალაქ ჩენაის მცხოვრები მოსალოდნელი აფეთქებების თაობაზე ორი ცრუ შეტყობინების შემდეგ დააპატიმრეს და ციხეში გადაიყვანეს.

სანტოშ კუმარი ორჯერ იყო დაქორწინებული, თუმცა ორივე მეუღლე გაექცა. შემდეგ ინდოელი სტრესის გამო სამსახურიდან გათავისუფლდა და დეპრესიაში ჩავარდა. უმუშევარმა და უსახლკარო კუმარმა გადაწყვიტა, ციხეში ჩამჯდარიყო და ამით საცხოვრებლითა და საკვებით თავი უზრუნველეყო.

მან მოპარული მობილური ტელეფონით ისარგებლა, ჩენაის სადისპეტჩერო სამსახურში დარეკა და ეროდეს რკინიგზის სადგურზე ჩადებული ბომბის თაობაზე აცნობა. შემდეგ კუმარმა ანალოგიური ზარი განახორციელა და ამჯერად განაცხადა, რომ ბომბი ქალაქის ავტოსადგურში იყო მოთავსებული.

პოლიციამ ადგილებზე გამნაღმველები გაგზავნა, შემდეგ კი დაადგინა, რომ ზარები მოპარული ტელეფონიდან იყო განხორციელებული. დაახლოებით ღამის ორ საათზე პოლიციელებმა რკინიგზის სადგურში მძინარე კუმარი იპოვეს და დააპატიმრეს. მისთვის აღმოჩენილ მობილურ ტელეფონში სამართალდამცავებმა მის მიერ განხორციელებული ზარების დამადასტურებელი მტკიცებულება აღმოაჩინეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ინგლისი, ჩეხეთი, საფრანგეთი და თურქეთი ევროპირველობაზე გავიდნენ



### ა ჯგუფი

**ჩეხეთი-კოსოვო 2:1**

**პლზენი. დოოსან არენა**

0:1 ნუჰიუ (50), 1:1 კრალი (71), 2:1 ცელუსტკა (79)

ეს მატჩი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო. ამ შეხვედრას უნდა გაერკვია, თუ ვინ ითამაშებდა საქართველოს ნაკრებთან ერთად ერთა ლიგის საუკეთესო ოთხეულში ევროპირველობაზე მოსახვედრად.

მოგეხსენებათ, ერთა ლიგის დ დივიზიონის ერთ-ერთი ჯგუფი, საქართველოს მსგავსად, კოსოვომ მოიგო და ევროპირველობაზე მოსახვედრად იბრძვის, მაგრამ კოსოვოელებს შანსი ჰქონდათ, კონტინენტის პირველობის საგზური ტრადიციული, შესარჩევი გზით მოეპოვებინათ. ამ შემთხვევაში მათ ნაცვლად ერთა ლიგის დ დივიზიონის ოთხეულს აზერბაიჯანი შეავსებდა.

ახლოსაც იყო კოსოვო, ბებერი კონტინენტის უმთავრეს ტურნირზე გასულიყო – ნუჰიუს გოლით იგებდა კიდეც, მაგრამ ჩეხეთმა სახლში თამაში შემოუტრიალა, 2:1 მოუგო, მეორე ადგილი გაინაღდა და კოსოვო ჯგუფში ჩატოვა.

ასე და ამგვარად, ერთა ლიგის ნახევარფინალში საქართველო ბელორუსს უმასპინძლებს, ხოლო მე-2 ნახევარფინალში კოსოვო და ჩრდილოეთ მაკედონია დაწყვილდნენ.

**ინგლისი-მონტენეგრო 7:0**

**ლონდონი. უემბლი**

1:0 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (11), 2:0, 3:0 კეინი (18, 24), 4:0 რეშფორდი (30), 5:0 კეინი (37), 6:0 სოფრანაცი (66სკ), 7:0 აბრაჰამი (84)

ეს იყო ინგლისელთა საიუბილეო, მე-1000 ოფიციალური მატჩში (პირველი შეხვედრა 1872 წლის 30 ნოემბერს გლაზგოში შოტლანდიასთან ჩაატარა) და ზარ-ზეიმით აღნიშნა – მონტენეგრო 7:0 გაანადგურა და ევროპირველობის საგზური ვადამდე მოიპოვა.

ჰარი კეინმა პირველივე ტაიმში ჰეთ-თრიქი შეასრულა, მიმდინარე ტურნირზე 11 გოლი გაიტანა და ერან ზაჰავის (ისრაელი) დაეწია. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისელთა მცველმა ბენ ჩილუელმა პირველი ტაიმის 13 წუთში 3 საგოლე გადაცემა გააკეთა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 7 | 6 | 0 | 1 | 33-6 | 18 |
| 2.ჩეხეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 13-10 | 15 |
| 3.კოსოვო | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 11 |
| 4.ჩერნოგორია | 8 | 0 | 3 | 5 | 3-21 | 3 |
| 5.ბულგარეთი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-17 | 3 |

### ბ ჯგუფი

**პორტუგალია-ლიეტუვა 6:0**

**ალგარვე. ესტადიო დო ალგარვე**

1:0, 2:0 რონალდუ (7პ, 22), 3:0 პიცი (52), 4:0 პასიენსია (56), 5:0 ბ.სილვა (63), 6:0 რონალდუ (65)

პორტუგალიამ საკუთარ მოედანზე ლიეტუვა ისტუმრა და 6:0 გაანადგურა.

რონალდუმ ჰეთ-თრიქი შეასრულა, ლიეტუვას კი, კარიერაში 7 გოლი გაუტანა. კრიშტიანუს უფრო მეტი გოლი არც ერთი ნაკრებისთვის არ გაუტანია. ამას გარდა, ნაკრებში 98 გოლი გაიტანა და ირანელი ალი დაეის რეკორდამდე 11 გოლი აკლია.

**სერბეთი-ლუქსემბურგი 3:2**

**ბელგრადი. რაიკო მიტიჩი**

1:0, 2:0 მიტროვიჩი (11, 43), 2:1 როდრიგესი (54), 3:1 რადონჩიჩი (70), 3:2 ტურპელი (75)

საინტერესო და უხვგოლიანი მატჩი შედგა ბელგრადში. სერბეთმა სახლში ლუქსემბურგს 3:2 სძლია, ამ დროისთვის მე-3 ადგილზეა და პორტუგალიას 1 ქულით ჩამორჩება. სავარაუდოდ, სერბები ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩებიან, რადგან ბოლო ტურში პორტუგალია ლუქსემბურგს ესტუმრება და მათი დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უკრაინა | 7 | 6 | 1 | 0 | 15-2 | 19 |
| 2.პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 20-6 | 14 |
| 3.სერბეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 15-15 | 13 |
| 4.ლუქსემბურგი | 7 | 1 | 1 | 5 | 7-14 | 4 |
| 5.ლიტვა | 8 | 0 | 1 | 7 | 5-25 | 1 |

### ჰ ჯგუფი

**საფრანგეთი-მოლდოვა 2:1**

**პარიზი. სტად დე ფრანსი**

0:1 რატა (9), 1:1 ვარანი (35), 2:1 ჟირუ (79პ)

საფრანგეთს ბრძოლა მოუწია. მოლდოველები მე-9 წუთზე დაწინაურდნენ და ფრანგები 70 წუთის განმავ ვერ იგებდნენ შეხვედრას. მართალია, რაფაელ ვარანმა პირველივე ტაიმში გაათანაბრა, მაგრამ გამარჯვების გოლი მატჩის ბოლოსკენ გავიდა – ოლივიე ჟირუმ პენალტი გაიტანა.

საფრანგეთი ბრძოლით, მაგრამ მაინც გავიდა ევროპირველობაზე.

**თურქეთი-ისლანდია 0:0**

**სტამბული. ტელეკომი**

ფრანგებს კვალად თურქები მიჰყვნენ. ისლანდიას სტუმრად მხოლოდ მოგება ესაჭიროებოდა, მაგრამ თურქეთში ამის გაკეთება ცოტა რთულია. მასპინძლებმა კარი მშრალად შეინახეს, მართალია, ვერც თავად გაიტანეს, მაგრამ დიდად არ უნაღვლიათ – 2020 წელს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

**ალბანეთი-ანდორა 2:2**

**ელბასანი. ელბასან არენა**

1:0 ბალაი (6), 1:1, 1:2 მარტინესი (18, 48), 2:2 მინაი (55)

აქ ალბანეთი ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ანდორელებმა მოულოდნელად ქულა წაიღეს შინ. ჯერ მასპინძლები იგებდნენ, შემდეგ – სტუმრები, საბოლოოდ კი მატჩი ფრედ დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 23-6 | 22 |
| 2.თურქეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-3 | 20 |
| 3.ისლანდია | 9 | 5 | 1 | 3 | 12-10 | 16 |
| 4.ალბანეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 16-12 | 13 |
| 5.ანდორა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-18 | 4 |
| 6.მოლდოვა | 9 | 1 | 0 | 8 | 3-24 | 3 |

სადღეისოდ, ევროპირველობის საგზური ბელგიამ, იტალიამ, რუსეთმა, პოლონეთმა, უკრაინამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, თურქეთმა, ინგლისმა და ჩეხეთმა მოიპოვეს.

# შენგელიამ იფრინა, შერმადინმა დააფარა



თორნიკე შენგელია ფანტასტიკურად თამაშობს ევროლიგაში, მაგრამ მისი ბასკონია ვერ ყოჩაღობს. ბასკური კლუბის ქართველმა კაპიტანმა ისრაელის მაკაბისთან მე-8 ტურის მატჩში 31 ქულა მიითვალა და სამწუხარო ისაა, რომ მისი დიდებული გარჯა მოგებით არ დაფასდა. ქართველ ფორვარდს თანაგუნდელებმა მხარი სათანადოდ ვერ აუბეს და ბასკონია შინაურ არენაზე 83:113 განადგურდა.

მატჩის მეორე პერიოდი ბასკონიელებმა 11:27 წააგეს, რის შემდეგ 32:55 ჩამორჩნენ და ფაქტობრივად წასაგებად გაიწირნენ. მასპინძელთა გუნდში ერთადერთი ნათელი წერტილი ქართველი ლეგიონერი გახლდათ, რომელმაც 36 წუთში 31 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 9-დან 5 ორქულიანი, 9-დან 6 სამიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად ქართველის სარგებლიანობის ინდექსმა 32-ს მიაღწია, რაც, ცხადია, ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი იყო. ძნელია, მისი ეს მონაგარი მე-8 ტურში ვინმემ გადაფაროს, თუმცა, მიენიჭება თუ არა მას ტურის მვპ-ის ტიტული, ამას ევროლიგის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

ამ სეზონში შენგელია უკვე 2-ჯერ დაასახელეს ევროლიგის ტურის საუკეთესო მოთამაშედ, თუმცა ორივეჯერ ამაზე ნაკლები მარგი ქმედების კოეფიციენტი – 28 ჰქონდა. 31 ქულა მისი კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია ბასკონიის ფორმით (არა მხოლოდ ევროლიგაში). მარგი ქმედების კოეფიციენტი კი მეტი ჰქონია – 2017 წელს ცსკასთან (33).

3 მოგებითა და 5 მარცხით ბასკონია 18-გუნდიან ევროლიგაში მე-12 ადგილზეა. შემდეგ შეხვედრას შენგელიას გუნდი ვიტორიაში, სწორედ ცსკასთან გამართავს.

ჩემპიონთა ლიგაზე გიორგი შერმადინის ტენერიფემ ზედიზედ მე-5 მატჩი მოიგო. ესპანელებმა ამჯერად თურქეთის გაიზანთეფი 69:67 დაამარცხეს.

ეს იყო კლასიკური მაგალითი, როგორ შეიძლება წაგებული მატჩის მოგება. აი, თუ არ გჯერათ: საფინალო სირენამდე 1:20 წუთით ადრე გაზიანთეფი 67:60-ს იგებდა. ფინელმა საშუ სალინმა 3-ქულიანით სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანა. შემდეგ შეტევა მოიგერია და მატჩის დასრულებას 26 წამი რომ უკლდა, სანტი იუსტამ მორიგი 3-ქულიანით ტაბლოზე 66:67 დააფიქსირა.

თურქები ასეთ ანგარიშზეც გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ბურთის შემოტანისას 5 წამის წესი დაარღვიეს, ბურთი ტენერიფეს გადაეცა და სრულფასოვანი შეტევის განხორციელების საშუალებაც მიეცა. განახორციელა კიდეც – იმავე სალინმა სირენამდე 7 წამით ადრე 3-ქულიანით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 69:67.

გაზიანთეფის ბოლო შეტევა გიორგი შერმადინმა დაფარებით ჩაშალა და ტენერიფემაც მნიშვნელოვანი საშინაო მოგება გაიფორმა.

გიორგის მონაგარი ასეთი იყო: 23 წუთი, 13 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება და ისიც რა დროს.

ჯგუფში დაუმარცხებელი ტენერიფე ჩემპიონთა ლიგაზე მომდევნო მატჩს ლატვიაში ვეფ რიგასთან გამართავს.

# პლაჟზე ჩაძინებულ მეთევზეს ნიანგის ხახაში გაეღვიძა



მექსიკის ოახაკის შტატის ქალაქ სანტა-მარია-კოლოტეპეკში ორმეტრიანი ნიანგი პლაჟზე ჩაძინებულ მეთევზეს დაესხა თავს.

65 წლის ამადეო ბარერა ბოკა ბარას პლაჟზე თვლემდა, როდესაც მას ნიანგი თავს დაესხა. მამაკაცმა აგრესიული რეპტილიის მოგერიება მოახერხა და დახმარებისთვის ექიმებს მიმართა. მას იარები ადგილზე დაუმუშავეს და შემდეგ პუერტო-ესკონდილოს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ნიანგის თავდასხმის შედეგად ბარას ხელზე, ფეხსა და თავზე ნაიარევები დარჩა. მისი მდგომარეობა სტაბილურად ფასდება.

შტატის სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელმა გელიოდორო დიასმა აღნიშნა, რომ ნიანგი მეთევზეს თავს თავისი საბინადრო ადგილიდან საკმაოდ მოშორებით დაესხა. ინციდენტი მოხდა იმ ადგილთან სადაც მდინარე კოლოტეპაკი ზღვას უერთდება, ამ ადგილებში კი რეპტილიების გამოჩენა დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

ადგილობრივები შიშობენ, რომ მდინარეებსა და წყალსატევებში წყლის დონის აწევის გამო, შესაძლოა, რეპტილიების მიგრაციას ჰქონდეს ადგილი, რაც ადამიანებისა და მათი შინაური ცხოველებისთვის საფრთხის შემცველი იქნება.

## კალეიდოსკოპი

# 200 წლის ჩასასმელი ყბები იპოვეს

ინგლისის ოქსფორდშირის საგრაფოში განძის მაძიებელმა პიტერ კროსმა იპოვა ოქროსა და ძვლებისგან დამზადებული ჩასასმელი ყბები, რომელიც XIX საუკუნით თარიღდება.

– უცნაურად ჟღერს, მაგრამ, როდესაც ის მიწიდან ამოვთხარე, ვიფიქრე, რომ ცხვრის კბილები იყო, – აცხადებს 59 წლის კროსი, – შემდეგ ნაპოვნი საგანი ჭუჭყისა და თიხისგან გავწმინდე და მასზე ოქროს ფირფიტა დავინახე. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ეს ადამიანისთვის განკუთვნილი ჩასასმელი ყბები იყო.

მან ნაპოვნი ექსპერტს მიუტანა, რომელმაც დაადგინა, რომ ჩასასმელი ყბები XIX საუკუნის დასაწყისში იყო დამზადებული ძვირფასი ლითონისა და, სავარაუდოდ, ბეჰემოთის ან ზღვის ლომის ძვლებისგან.

– სავარაუდოდ, ის საკმაოდ მდიდარ ადამიანს ეკუთვნოდა. იმ დროს ეს ნივთი მთელ ქონებად ფასობდა, – ამბობს კროსი, – ჩემი მეგობარი კბილის ექიმი ამბობს, რომ კლიენტმა ამ ყბებში დაახლოებით 200-300 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. იმ დროს კი ასეთ თანხად სოფელ ბრილის ნახევარს იყიდდი.

ბრიტანელმა 200 წლის ჩასასმელი ყბები პატარა ფერდობზე იპოვა. ის ფიქრობს, რომ მის პატრონს ნივთი, შესაძლოა, ჯიბიდან ამოუვარდა, როდესაც ცხენით სეირნობდა.

– წარსულში ადამიანები ჩასასმელ ყბებს მუდმივად არ ატარებდნენ, მათ მხოლოდ ჭამის დროს იყენებდნენ, – განმარტა განძის მაძიებელმა.

უძველეს ჩასასმელ ყბებს 25 ნოემბერს აუქციონზე გაიტანენ გასაყიდად. ექსპერტები მას სამიდან შვიდი ათას ფუნტ სტერლინგამდე აფასებენ.

# მამაკაცი შეყვარებულმა მიატოვა და გამდიდრდა

ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ქალაქ მელბურნში მამაკაცმა დოლზე 800 ათასი ავსტრალიური დოლარი იმ დროს მოიგო, როდესაც ის შეყვარებულს სულ რამდენიმე წუთის მიტოვებული ჰყავდა.

გოგონამ მამაკაცს განუცხადა, რომ შორდებოდა და ეს იმ დროს გააკეთა, როდესაც ის მელბურნის კაზინო „გვირგვინში" მელბურნის თასზე გამართულ დოღს უყურებდა. ის გოგონასთან ურთიერთობის გარკვევით იყო დაკავებული და არ შეუმჩნევია, რომ ფინიშის ხაზი პირველებმა სწორედ იმ ოთხმა ცხენმა გადაკვეთეს, რომლებზეც მას 10 ავსტრალიური დოლარი ჰქონდა დადებული.

როდესაც გოგონა კაზინოს გასასვლელისკენ გაემართა, მამაკაცმა ინტერნეტში საკუთარი გვერდი შეამოწმა და ნახა, რომ გაიმარჯვა. მან სიხარულისგან ისე დაიღრიალა, რომ იქ მყოფთა ყურადღება მიიპყრო. მოგების გაგების შემდეგ გოგონამ გადაწყვიტა, ადგილზე დარჩენილიყო. საღამოს ბოლომდე მამაკაცი გოგონას უმასპინძლდებოდა, რის შემდეგაც ერთმანეთს დაშორდნენ. გამარჯვებული მამაკაცი აცხადებს, რომ მოგებული თანხით ქალაქ გოლდ-კოსტში სახლის ყიდვას აპირებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. უძველესი ქალაქი სირიაში; 4. სურსათ-სანოვაგის საზიდი, მხარზე გადასაკიდი ძველებური ნაქსოვი ჩანთა; 5. ნიჩბოსანთა სპორტული ნავი; 10. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 11. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი შტანგისტი; 12. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 15. კინოცენტრი ჩეხეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 20. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

**თარაზულად:** 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 8. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. ნარკოტიკული ნივთიერება; 13. უკრაინის პარლამენტი; 14. არწივის ბარტყი; 18. იურისპრუდენციაში სხვისი ქონების გამოყენება მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. აეროპორტი სინგაპურში; 21. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 22. ქართული რადიო; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა ევროპული სახელწოდება ძველად; 24. ეკოლოგთა და მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაეტონი; 2. ალდაგი; 3. კარალიოკი; 4. გელათი; 5. პიგმენტი; 7. ჟაკო; 11. დუმბაძე; 13. ვალენსა; 15. დუნაი; 16. სამბა; 18. აბუჯა; 19. სინჯი.

**თარაზულად:** 6. ადაჟიო; 8. კლოშარი; 9. ბულდოგი; 10. ორმონდი; 12. დიორი; 14. აირანი; 17. კალვადოსი; 20. ფხაკაძე; 21. კარატე; 22. ჯორჯია; 23. ბასტილია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჩუღურეთი; 2. ჰოსტელი; 3. ხრამი; 4. პრომეთე; 5. შეპარდი; 10. მირზაანი; 11. კონტრაბასი; 12. აბსურდი; 15. ჰუმანიზმი; 16. ბრეცია; 17. ტერტერა; 20. ოკაპი.

**თარაზულად:** 6. ბურგომისტრი; 7. გრუბერი; 8. კვირიკე; 9. პეპელა; 13. ფიტი; 14. ხოხობი; 18. მუხამბაზი; 19. მეგრე; 21. რკალი; 22. წალამი; 23. ტანგანიკა; 24. ტრიგლიტი.


# სამგლოვიარო განცხადებები

დავით გვაძაბია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ნათესავის, უახლოესი მეგობრის, კეთილშობილი ადამიანის

**პარმენ სამუშიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.9723 |
| ევრო | — 3.2779 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.8265 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.6227 |

## ამინდის პროგნოზი 16 ნოემბერი




## ნინი გოგიჩაიშვილმა „მის მსოფლიოსთვის" ვიდეორგოლი გადაიღო



„მის საქართველო 2018"-მა ნინი გოგიჩაიშვილმა სილამაზის საერთაშორისო კონკურს „მის მსოფლიო 2019"-სთვის სპეციალური ვიდეორგოლი გადაიღო.

ნინი ვიდეორგოლში მსოფლიოს თავისი ქვეყნისა და საკუთარი თავის შესახებ უყვება. ინტერნეტში გავრცელებულმა ვიდეორგოლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

წლევანდელი რიგით 69-ე სილამაზის კონკურსი „მის მსოფლიო 2019" 14 დეკემბერს ლონდონში გაიმართება.

## ნუგზარ ყურაშვილს სერგო ზაქარიაძის პრემია მიენიჭა



მსახიობ ნუგზარ ყურაშვილს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სერგო ზაქარიაძის სახელობის პრემია მიენიჭა.

რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის „სარა ბარა ბზია ბზბოიტ, ანუ მე შენ მიყვარხარ" პრემიერის შემდეგ, მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მსახიობ ნუგზარ ყურაშვილს 70 წლის იუბილე მიულოცა. მას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა წიგნი-ალბომი „ნუგზარ ყურაშვილი" გადასცა.

თეატრის მოღვაწეთა კავშირმა კი ცნობილი მსახიობი სერგო ზაქარიაძის სახელობითი პრემიით დააჯილდოვა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 16 ნოემბრისათვის

**ვერძი** — დღე აღსავსეა ახალი იმედებით, შეხვედრებით, მოულოდნელი სასიამოვნო ნაცნობობით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** — ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მთლიანობაში მატერიალური თვალსაზრისით კეთილისმყოფელი დღეა. საკუთარ ტალანტს ახალი კუთხით წარმოაჩენთ, მათ შორის ორგანიზატორული ნიჭი ჭარბობს. **ტყუპები** — ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. კარგი იქნება, თუ დღეს სპორტით დაკავდებით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. ვენერა გმფარველობთ. **კირჩხიბი** — გაუთვალისწინებელი ხარჯები რეკომენდებული არ არის. თავს ყველაფერზე უარს ნუ ეტყვით, მაგრამ თქვენი ბიუჯეტიც გაითვალისწინეთ. **ლომი** — უსიამოვნო ამბავი გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეცვლებათ. შესაძლოა გრძელვადიანი გეგმების კორექტირებაც მოგიხდეთ. **ქალწული** — ახალი ნაცნობობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ერიდეთ ფულის ხარჯვას. თქვენი ჯიბე ამის საშუალებას ნამდვილად არ გაძლევთ. **სასწორი** — საეჭვო ადამიანებთან კონტაქტი ცუდ შედეგს გამოიღებს. ხელგაშლილობა და არაეკონომიურობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **ღრიანკალი** — იღბლიანი დღეა. ნებისმიერი ნაბიჯი კარგად გააანალიზეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ერიდეთ სიახლეებს. **მშვილდოსანი** — ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით. სატურნის მფარველობის მეოხებით თქვენი საქმეები მშვენივრად მიდის. **თხის რქა** — დაბნეული ხართ. ნუ იაქტიურებთ. კოლეგებთან და ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა გეძაბებათ. **მერწყული** — ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება. დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან და ნათესავებთან შეხვედრა გაგახალისებთ. ფულის უანგარიშოდ ხარჯვა გეკრძალებათ. **თევზები** — გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. გეძლევათ შანსი, დაწყებული საქმეები წარმატებით დაასრულოთ. დღის მეორე ნახევარში მზად იყავით მოულოდნელი სტუმრების დასახვედრად.

### 17 ნოემბრისათვის

**ვერძი** — სახიფათო და კრიტიკული დღეა. უსიამოვნო ინფორმაცია თქვენი გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **კურო** — ხალხმრავლობა, სტუმრიანობა კონფლიქტურ სიტუაციას შექმნის. ნუ ჩაერთვებით საქმის გარჩევებში. კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. **ტყუპები** — ყურადღება გამოიჩინეთ ახლობლებისა და მეგობრებისადმი. არ არის გამორიცხული კონფლიქტი, რომელიც უსიამოვნო შედეგით დასრულდება. **კირჩხიბი** — კარგი პერიოდია გართობისათვის, ასევე მოგზაურობისა და მივლინებისათვის. სავარაუდოდ, სიტუაცია დაიძაბება და უსიამოვნო საუბარს ვერ ასცდებით. **ლომი** — ნუ აჩქარდებით. საქმის ერთი ხელის მოსმით მოგვარება რეკომენდებული არ არის. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ქალწული** — გელით მრავალი მოულოდნელობა, როგორც სასიხარულო, ისე — უსიამოვნო. ნურაფრის შეგეშინდებათ, ნებისმიერ დაბრკოლებას სწრაფად და იოლად გადალახავთ. **სასწორი** — მძიმე დღეა. იმედი გიცრუვდებათ. ახლობელი საკმაოდ კარგ რჩევას მოგცემთ. თანამოაზრეებთან ერთად ბიზნესში წარმატებას მიაღწევთ. **ღრიანკალი** — წარსულის მოგონება, დიდი ხნის უნახავ მეგობართან შეხვედრა სიხარულს მოგანიჭებთ. შესაძლოა, კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მშვილდოსანი** — იკვებეთ სწორად, ივარჯიშეთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **თხის რქა** — სახიფათო და კრიტიკული დღეა. უსიამოვნო ინფორმაცია თქვენი გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **მერწყული** — საშინაო საქმეები დაგიგროვდათ. დიდი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის ბიუჯეტს, გააკონტროლეთ გასავალი, ვინაიდან გაუთვალისწინებელი ხარჯები გელით. **თევზები** — მოულოდნელად ფულს შოულობთ. შესაძლოა დიდი ხნის ოცნება აგისრულდეთ. ამ დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მამაკაცს ეკითხებიან:
— ცოლი არასოდეს გყოლიათ?
— არა.
— აი, თურმე რატომ გაქვთ ასეთი ბედნიერი და მშვიდი სახე.

●●●

ქალი ექიმს შესჩივის:
— ექიმო, ჩემი ქმარი ლოგინში ძალიან მოისუსტებს და არ ვიცი რა მოვუხერხო.
— და რას აჭმევთ.
— ძირითადად კარტოფილს.
— ჩემო კარგო, კრახმალი მხოლოდ პერანგის საყელოს აყენებს...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:
— ძვირფასო, რატომ არასოდეს მეუბნები, როდის აღწევ ორგაზმს?
— ძვირფასო, რა, ყოველ ჯერზე სამსახურში უნდა დაგირეკო და გითხრა?

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორესეუბნება:
— სამჯერ ვიყავი დაქორწინებული.
— მექალთანე ხარ?
— არა, ერთსა და იმავე ქალზე.
— აჰაა, სულელი.

●●●

ცოლი ქმარს:
— რაზე ელაქლაქებოდი ჩვენ მეზობელ ქალბატონს?
— ამინდზე...
— მომისმინე, სინოპტიკოსო! თუ კიდევ ერთხელ დაგინახავ მის გვერდით, ნალექად გადაიქცევი მოსალოდნელ ქარიშხალზე ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე!!!

●●●

შემთხვევის ადგილიდან პოლიციელი უფროს ურეკავს და მოახსენებს:
— მკვლელობის მცდელობას აქვს ადგილი უფროსო.
— რა მოხდა?
— მამაკაცი, 38 წლის. მას ცოლმა ტაფა ექვსჯერ ჩასცხო თავში ახლად მოწმენდილ იატაკზე გავლისთვის. მამაკაცი საავადმყოფოშია გადაყვანილი.
— ცოლი დააკავეთ?
— ჯერ არა, იატაკი ჯერ ისევ სველია...

●●●

მამაკაცი რესტორანში:
— ოფიციანტ, ეს თუ წიწილაა, მაშინ მე რომის პაპი ვყოფილვარ.
— რას ინებებთ, თქვენო უწმინდესობავ?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## რაკიტიჩით მადრიდის ატლეტიკო დაინტერესდა



ივან რაკიტიჩი არ მალავს თავის უკმაყოფილებას სათამაშო დროის სიმცირის გამო ბარსელონაში და შესაძლოა ზამთარში მან გუნდი დატოვოს.

რაკიტიჩის შეძენით საკმაოდ ბევრი კლუბია დაინტერესებული და მათ შორის არის მადრიდის ატლეტიკოც. მადრიდელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 45 მილიონი გადაიხადონ, თუმცა ბარსელონა 60 მილიონზე ნაკლებად რაკიტიჩის გაყიდვას არ აპირებს. ხორვატი ნახევარმცველის შეძენა ასევე მილანის ინტერს სურს და ამ გუნდს რაკიტიჩის გადმობირება ჯერ კიდევ ზაფხულში უნდოდა.

## პიკე: „ბარსელონამ თამაშის ხარისხი უნდა გამოასწოროს"



ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ თავის თავზე და ბარსელონას თამაშზე ისაუბრა.

პიკეს აზრით, ის მსოფლიოში საუკეთესო მცველების ხუთეულში შედის. პიკემ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ბარსელონას უკეთესი თამაში მოეთხოვება, რასაც მისგან ელის გულშემატკივარი:

— ვფიქრობ, მხოლოდ გამარჯვება საკმარისი არ არის და ჩვენგან ლამაზ თამაშს ელიან. თუ გულშემატკივარს სიამოვნება ვერ მივანიჭეთ, ეს ნიშნავს, რომ თამაშის ხარისხი უნდა გავაუმჯობესოთ. გასულ სეზონში ბევრი შეცდომა დავუშვით და მსგავსი რამ არ უნდა გავიმეოროთ.

## კურტუა: „ვიმსახურებ, რომ რეალის პირველი მეკარე ვიყო"



მადრიდის რეალის გოლკიპერმა ტიბო კურტუამ განაცხადა, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო მეკარეების რიცხვში შედის და რეალის პირველ მეკარეობას იმსახურებს.

კურტუა თავისი თამაშით ყველა კრიტიკოსს გააჩუმებს:

— ზოგჯერ უსამართლოდ მაკრიტიკებენ და ეს მაღიზიანებს, რადგან რეალის მეკარეობა დავიმსახურე. მომავალში კიდევ არაერთხელ ვაჩვენებ, თუ რა შემიძლია და კრიტიკოსებიც გაჩუმდებიან. ჩემთვის მთავარი გუნდის გამარჯვებაა.

## ბეილი: „უელსის ნაკრებში თავს კომფორტულად ვგრძნობ"



მადრიდის რეალის და უელსის ნაკრების ფეხბურთელმა გარეტ ბეილმა განაცხადა, რომ ის უელსის ნაკრებში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, რადგან იქ მშობლიურ ენაზე უწევს საუბარი.

ბეილის აზრით, ენობრივი ბარიერი ყოველთვის სირთულეს ქმნის:

— უელსში კარგად ვარ, რადგან აქ ენის პრობლემა არ მაქვს. ამის გამო თავს თავისუფლად ვგრძნობ და ეს მინდორზეც კარგად ჩანს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## დიმიტრი ცინცაძე ჰოლივუდში საუკეთესო რეჟისორობისთვის დააჯილდოვეს

ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანიის ფარგლებში, ჰოლივუდში აზიური ფილმების მსოფლიო ფესტივალი გაიმართა, სადაც დიმიტრი ცინცაძეს საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადასცეს ფილმისთვის „შინდისი". კინოფესტივალზე ძირითადად ის ფილმებია წარმოდგენილი, რომლებიც ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინაციებისთვის იბრძვიან.



„შინდისი" მაყურებელს უყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. ეს არის რეალურად მომხდარი ამბავი ჩვენი დროის კავკასიური ომიდან. ადგილობრივი გლეხების თავდადება და ჩასაფრებაში მომწყვდეული ჯარისკაცების ბრძოლა სიცოცხლისთვის.

ფილმის მსოფლიო პრემიერა რამდენიმე კვირის წინ ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც „შინდისს" ფესტივალის გრან პრი და საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადაეცა.

ამჟამად „შინდისი", როგორც საქართველოს მიერ ოსკარზე წარდგენილი კანდიდატი ფილმი, ლოს ანჯელესში ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანიაშია ჩართული.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 2. ყურძნის სხვადასხვა ჯიშის შერევა ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად; 3. უკრაინის ჰეტმანი, ეროვნული გმირი; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. თანაგრძნობა, კეთილი განწყობა ვინმესადმი; 7. იაპონური ურითმო ლექსი; 11. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი შინაური ცხოველი; 13. ქართული მოხარშული და გადაზელილი ყველი; 15. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ქურდის, ხულიგნის, ბანდიტის ერთიანი საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 19. პირველი ავტომობილის შემქმნელი გერმანელი კონსტრუქტორი.

**თარაზულად:** 6. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 8. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 9. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა, ფრაზა; 10. ექიმის სპეციალობა; 12. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 14. კუთხე საქართველოში; 17. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ; 20. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 21. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი; 22. სახელმწიფო სკანდინავიაში; 23. ბეჭედში, ბროშში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი.

*შეადგინა თ,კოპალეიშვილმა*